საერთო გაზეთი

№12 (693)
ოთხშაბათი
12 აპრილი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

უხმლო ლაშქარი

**9 აპრილის ტრაგედიის
მსხვერპლთა ხსოვნას**

ვაიმე, ჩემო უხმლო ლაშქარო,
სად მიხვალ, საით მიეხეტები.
ანგელოზებო, ფრთები გაშალეთ,
რომ დაიფაროთ უხმლო მხედრები.
ვის სთხოვ შველას და
ვის სთხოვ სამართალს,
როცა მგლებივით ირგვლივ გივლიან.
ჰაი, დედასა, ხმალი წაგართვეს,
უხმლოსთან ბრძოლა კი ადვილია.
უხმლო ლაშქარის მიკვირს ლაშქრული,
უხმლო მხედრების გრგვინავს მხედრული,
არა ძაბუნი, არა ლაჩრული,
არამედ ხაფი და გაბედული.
უხმლო ხმლიანსაც დასცემს, დაჯაბნის,
თუკი სამშობლოს იცავს ღირსებას.
გულო ნაღვაწო, მკლავო ნაჯაფო,
რა დიადია ეს განრისხება.
ვიგლოვოთ, მაგრამ ისე ვიგლოვოთ,
არ ჰგავდეს იგი სულით დაცემას,
დიახ, ეს იყო ჩვენი დიდგორი,
არვის ეგონოს ეს დამარცხება.
მოვა, მოგვნახავს კვლავაც დიდება
და მოგვიშუშებს უმძაფრეს ტკივილს.
ქაშუეთს ზემოთ ტბა დგას ტიტების,
მე ტბის ნაპირას ვზივარ და ვტირი:
– ჰაი, დედასა, უხმლო ლაშქარო...

ვახტანგ ხარჩილავა
1989 წ. 10 აპრილი

„საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერი გამოვა 26 აპრილს

დღეს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ კი მან და ნინო ქადაგიძემ ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.

ნინო ქადაგიძის თქმით, მისთვის სამწუხაროა – „რომ მაღალმა პოლიტიკურმა ვნებებმა გადმოინაცვლა სასამართლოში, სხვანაირად ჩემთვის გაუგებარია ის უპრეცედენტო და გაუგებარი გადაწყვეტილება“. ამასთანავე, იგი ამბობს, რომ სასამართლოში არცერთ ეტაპზე არ ყოფილა ისეთი „რეალური, ისეთი ნამდვილი და ისეთი ხელშესახები მიღწევა“, როგორიც დღესაა და არასდროს ყოფილა სასამართლო კორუფციისგან ასეთი თავისუფალი.

„პირადად ჩემი თხოვნის მიუხედავად, მე არ მომეწოდა არათუ დასაბუთებული მტკიცებულებები, არამედ ვარაუდიც კი და მინიშნებები იმის თაობაზე, თუ რა გახდა ჩემი კოლეგების კორუფციაში დადანაშაულების საფუძველი. ამიტომ მე მათ ვუცხადებ თანადგომას. შეცდომა შეიძლება ყველას მოუვიდეს, შეცდომისგან არავინაა დაზღვეული, თუმცა აქვე ვთვლი, რომ შეცდომის აღიარება, ეს არის მხოლოდ ძლიერის თვისება და აქედან გამომდინარე, ვიტოვებ დიდ იმედს, რომ შესაბამისი თანამდებობის ან უწყებების მხრიდან ეს საკითხი აუცილებლად გადაიხედება.

დადგა ის ეტაპი, როდესაც მთავრობა უნდა ჩაერიოს რიგ საკითხებში, ყოველ შემთხვევაში, ვთვლი, რომ გარკვეულ სწორ ხედვებზე დაფუძნებული ნორმატიული ჩარჩო შეიძლება იქნეს შემუშავებული, რაზეც ბატონ ირაკლის ვესაუბრეთ, რომელიც, ფაქტობრივად, გამორიცხავს სასამართლოში რაიმე ფორმით ჩარევას და აგრეთვე მინიმუმამდე დაიყვანს სასამართლოში პოლიტიკის გავლენას“, – თქვა ქადაგიძემ და მადლობა გადაუხადა ღარიბაშვილს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.

პრემიერ-მინისტრის შეხვედრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან

„დიდი მადლობა, ქალბატონო ნინო, დღევანდელი შეხვედრისთვის. მე მინდა ვუთხრა ჩვენს საზოგადოებას, რომ მქონდა შეხვედრა ქალბატონ ნინოსთან, ასევე მოსამართლეებთან, საბჭოს წევრებთან. ჩემი მთავარი გზავნილი იყო და არის შემდეგი: მე, როგორც მთავრობის მეთაური და მმართველი პარტიის წარმომადგენელი, სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ ყველა მოსამართლეს. სასამართლო ჩვენი მმართველობის დროს გახდა დამოუკიდებელი, თავისუფალი ყოველგვარი ჩარევებისგან, როგორც შიდა ჩარევებისგან, ასევე სხვა ქვეყნების მხრიდან ჩარევებისგან. რა თქმა უნდა, მიუღებელია ყოველგვარი ჩარევა ან რაიმე გავლენის მოხდენა მოსამართლეებზე. ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი ჩემთვის, ჩვენთვის ყველასთვის. მით უმეტეს, სუვერენული ქვეყნის, სუვერენულ სასამართლოზე და მოსამართლეებზე. მე ასევე დავუდასტურე პატივცემულ მოსამართლეებს ჩვენი სრული მხარდაჭერა. ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისთვის, რომ დავიცვათ სასამართლოს დამოუკიდებლობა, სასამართლოს თავისუფლება ყოველგვარი ჩარევებისგან, ყოველგვარი ზეწოლისგან. ეს არის ჩვენი გაცხადებული პოლიტიკა და მთავარი მიზანი, რომლისკენაც ჩვენ, მას შემდეგ, რაც ჩვენი გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში, ვისწრაფვით. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში გავატარეთ ფუნდამენტური რეფორმები სასამართლოში იმისთვის, რომ სასამართლო გამხდარიყო ისეთი, როგორიც არის დღეს- დამოუკიდებელი და თავისუფალი.

ჟურნალისტის კითხვაზე - მიიღო თუ არა პრემიერმა დიმიტრი გვრიტიშვილისგან ინფორმაცია ზეწოლაზე, მთავრობის მეთაურმა ასე უპასუხა: „მე გიდასტურებთ, რომ მივიღე ეს ინფორმაცია. ამის თაობაზე მოგახსენებთ მოგვიანებით. მივიღე ინფორმაცია, მოვისმინე ბატონი დიმიტრისგან, სხვა მოსამართლეებისგან, საბჭოს წევრებისგან. ეს იყო დახურული შეხვედრა, მე ამ ფაქტებზე საჯაროდ ვერ ვისაუბრე, მაგრამ მოვა დრო და ამას საზოგადოება გაიგებს,“ - ეს იყო „სურპრიზი“ ჩემთვისაც და ჩვენთვისაც, მე არასოდეს მომისმენია, რომ რაღაც გარკვეული კითხვები არსებობდა. ალბათ პირიქით უნდა მომხდარიყო და თუ ასეთი ფაქტები ვინმეს აქვს ჩვენ, რა თქმა უნდა, მზად ვართ, ყოველთვის მოვისმინოთ. ერთი რამ მინდა ვთქვა ხაზგასმით, მიუღებელი და დაუშვებელია სუვერენული ქვეყნის დამოუკიდებელ სასამართლოში რაიმე ფორმით ჩარევა ან ნებისმიერი გადაწყვეტილება, ქმედება თუ განცხადება, რომელიც განცდას შექმნის სასამართლოში რაიმე ფორმით ჩარევის. ეს არის დაუშვებელი.

ხელისუფლებები, მთავრობები აკეთებენ ყველაფერს, რომ მაქსიმალურად გააძლიერონ დამოუკიდებელი სასამართლოები. ყველა ქვეყანაში ესაა ერთგვარი ტაბუ, რომ არ შეიძლება, მიუღებელია, უკანონოა მოსამართლეზე ზეწოლა და სასამართლოში ჩარევა. მე გიყვებით ზოგადად, ჩვენ ამ პოლიტიკას მივდევთ, როგორც მთავრობა და ამ პოლიტიკას კიდევ უფრო მეტად განვამტკიცებთ. ესაა ჩვენი საერთო სურვილი, რომ კიდევ უფრო მეტად თავისუფალი, დამოუკიდებელი, ძლიერი სასამართლო გვქონდეს“.

როცა მოძალადე რეჟიმს ქართველმა ხალხმა უთხრა უარი და ჩვენ სასამართლოს ვუთხარით, რომ იმ დღეს, როცა გახდა „ქართული ოცნება“ ქვეყნის მმართველი, სასამართლოც გახდა თავისუფალი და დამოუკიდებელი. მე ასევე მახსოვს ჩვენი საუბრები ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან, კოლეგებთან. მათი რეკომენდაცია იყო, რომ მოსამართლეების მიმართ ჩვენ აბსოლუტურად არავითარი ზომები არ უნდა მიგვეღო და ჩვენ რა თქმა უნდა, არც არაფერი გაგვიკეთებია, პირიქით, ჩვენ მოსვლის დღიდან მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოვუჩინეთ ჩვენს მოსამართლეებს, სასამართლოს. ასევე მინდა შეგახსენოთ ისიც, რომ ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია იყო არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე საელჩოების, რომ მომხდარიყო მოსამართლეების დანიშვნა უვადოდ, რაც ასევე ჩვენმა მთავრობამ გააკეთა. 4 ტალღის რეფორმების შედეგი არის ის, რომ დღეს სასამართლო არის ერთ-ერთი სამაგალითო მთელს ევროკავშირში, მე ასე ვიტყოდი. ამას ადასტურებს რამდენიმე დღის წინ ჩატარებული კვლევებიც. მოქალაქეების ნდობა სასამართლოს მიმართ არის ძალიან გაზრდილი. საერთო საშუალო ევროპულ მაჩვენებელზე უფრო მაღალია ნდობა ჩვენი სასამართლოს მიმართ, ჩვენი მოქალაქეების მხრიდან. კიდევ ერთ მთავარ ინდიკატორს მოვიშველიებდი იმის სადემონსტრაციოდ, რომ რეალურად ჩვენი მოქალაქეები სამართალს პოულობენ საქართველოში. ამის მაჩვენებელია ის სტატისტიკა, რომელიც მინდა ახლა მოვიყვანო მაგალითისთვის. 2012 წლამდე სტრასბურგში გაგზავნილი საქმეების რაოდენობა იყო რეკორდული. 4000-5000 საქმე იგზავნებოდა სტრასბურგში. რატომ, მეგობრებო?! იმიტომ, რომ ჩვენი მოქალაქეები აქ ადგილზე სამართალს ვერ პოულობდნენ. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა. წელს სტრასბურგში გაგზავნილ იქნა მხოლოდ 150 საქმე. ამხელა განსხვავება, ამხელა პროგრესია. ეს ნიშნავს კიდევ ერთხელ და ადასტურებს იმას, რომ ნდობა სასამართლოს მიმართ არის აბსოლუტურად გაზრდილი და მოქალაქეები პოულობენ სამართალს ქვეყანაში“, - ბოლოს, უნდა ვთქვა, რომ მე ვამაყობ ჩვენი სასამართლოთი, ყველა მოსამართლით, ისინი მაღალკვალიფიციური პროფესიონალები არიან, რომლებიც ემსახურებიან ჩვენი ქვეყნის გაძლიერებას, იცავენ ჩვენს სუვერენიტეტს და ჩვენს ეროვნულ პოლიტიკას, ამისთვის კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ყველა მოსამართლეს.

„ბოლოს, უნდა ვთქვა, რომ მე ვამაყობ ჩვენი სასამართლოთი, მე ვამაყობ ყველა მოსამართლით, ისინი არიან ძალიან მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომლებიც ემსახურებიან ჩვენს ქვეყანას, ემსახურებიან ჩვენი ქვეყნის გაძლიერებას. იცავენ ჩვენს სუვერენიტეტს და ჩვენს ეროვნულ პოლიტიკას. ამისთვის კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნინოს, ყველა მოსამართლეს, თქვენი საქმიანობისთვის. ჩვენ, როგორც მთავრობა და მე, როგორც პრემიერ-მინისტრი, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ კიდევ უფრო მეტად გავაძლიეროთ თქვენი დამოუკიდებლობა, თქვენი თავისუფლება. ჩვენ მაქსიმალურ მხარდაჭერას აღმოვუჩენთ თქვენს ინიციატივებს, ახალ პროგრამებს. ასე რომ, კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ დღეს სასამართლო რომ გვაქვს კორუფციისგან, ყოველგვარი ჩარევისგან, ზეწოლისგან თავისუფალი, ეს რა თქმა უნდა, არის ჩვენი გუნდის დამსახურება და, რა თქმა უნდა, ქალბატონი ნინოსა და მოსამართლეების დამსახურება“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„თუ, რა თქმა უნდა, სურვილი იქნება და რაიმე კონკრეტულ საქმეს შეეხება, მე ყოველთვის მზად ვარ, როგორც პრემიერ-მინისტრი და მთავრობის მეთაური, რომ მოვისმინო ინფორმაცია მოსამართლეებისგან, გავიზიარო მათი წუხილი და ამის შემდეგ ჩვენ დავიგეგმოთ, თუ რა ნაბიჯები შეიძლება გადავდგათ ერთად,“ - განაცხადა პრემიერმა.

„საერთო გაზეთის“ გამომცემელს, სათნო და კეთილშობილ ქალბატონს, არაჩვეულებრივ დედას და განუმეორებელ ბებიას, შესანიშნავ მეოჯახეს, ჩვენზე მზრუნველ, ჩვენთვის ძვირფას და საყვარელ ადამიანს

თამარ ბერძენიშვილს

ვულოცავთ დაბადების დღეს.

წელთა სიმრავლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მხნეობას და უშრეტ ენერგიას ვუსურვებთ, რათა მასზე დაკისრებული რთული ვალდებულებების დაუბრკოლებლად აღსრულება შეძლოს.

დაე, მისი დიდი, ლამაზი ოჯახი კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ყოფილიყოს მისთვის პოზიტიური ემოციებისა და ულევი სიხარულის წყარო.

იხარეთ და იმზეგრძელეთ, მრავალჟამიერ!

ჩვენი გაზეთის დიდ და დიდი ხნის მეგობარს, ჭეშმარიტ ქართველს, ერთგულ ადამიანს, რომლის იმედიც ყოველთვის შეიძლება გქონდეს; შესანიშნავ მეოჯახეს, არაჩვეულებრივ მამასა და ბაბუას და, უბრალოდ, კარგ ადამიანს

დავით ინჯიას

ვულოცავთ დაბადების დღეს.

დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ულევ სიკეთეს და სიხარულს ვუსურვებთ თავის ლამაზ დიდ ოჯახთან ერთად!

მრავალჟამიერ, ბატონო დავით!



„საერთო გაზეთი“

სჯობს, ილაპარაკოს ყველამ! ახლა არ არის იმის დრო, რომ ვიღაცამ ტუზ-კოზირი ჯიბეში შეინახოს

გვესაუბრება მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი
დავით ქართველიშვილი

- აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, საქართველოს სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეს სანქციები დაუწესდა, რაც მათ კორუფციულ საქმიანობაში ჩართულობას უკავშირდება. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ თარგმანის პრობლემა ყოფილა, სინამდვილეში, მოსამართლეებს და მათი ოჯახის წევრებს მხოლოდ სავიზო შეზღუდვა დაუწესეს. რეალურად რა მოხდა?

- არავის ეგონოს, აშშ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო. ეს იყო მორიგი მცდელობა იმ მრავალწლიან წარუმატებელ პროცესში, რამაც ვერანაირად ვერ მიიყვანა სასურველ შედეგამდე მათი აგენტები და ლაქიები საქართველოში. ვერ მოხერხდა სახელმწიფო გადატრიალება და ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნება.

9 აპრილამდე, ნაცების მორიგ შეკრებამდე, მოკლევადიანი გეგმა გათამაშდა: "თავისუფლება ლაზარეს! სრული უნდობლობა „რუსულ კორუფციულ სასამართლო სისტემას“ და ა.შ. რადგან ამ "მესიჯბოქსმა" შედეგი ვერ გამოიღო, გადავიდნენ გრძელვადიან პერსპექტივაზე: რადგან "მწვანე შუქია" ანთებული დაუქვემდებარონ ქართული სუვერენული სასამართლო სისტემა აშშ-ის მმართველობას.

- რა არის ამ ქმედებების მიზანი, ბატონო დავით?

- მიზანი 2024 წლის არჩევნებია, სადაც ნაცებს მორიგი ფიასკო ელოდებათ. აშშ-ს რჩება ბოლო შანსი, საკუთარი გავლენის ქვეშ მყოფი მოსამართლეებით დააკომპლექტოს სისტემა, არჩევნები გამოაცხადონ გაყალბებულად და მისი შედეგების დადგომა სასამართლო დარბაზებში გადაანაცვლონ.

აშშ-ის დემოკრატიული პარტიის მმართველობა განსაკუთრებული „ეგზოტიკური“ დამოკიდებულებით გამოირჩევა სასამართლო სისტემის მიმართ. პირველი, რაც გააკეთეს 1986 წელს აშშ-ის კონგრესში უმრავლესობით მოსულმა დემოკრატებმა, იურიდიული კომიტეტის ახლად არჩეული თავმჯდომარის, ამერიკის ახლანდელი პრეზიდენტის კონგრესმენ ჯოზეფ ბაიდენის ხელით, ეს იყო არსებული უზენაესი სასამართლო კოლეგიის სრული დეკომპლექტაცია. შემდგომ კი რეიგანის დროს მიღებული კანონები: დეზინფორმაციასთან ბრძოლის, პორნოგრაფიის ლეგალიზაციის აკრძალვის, გენდერული და რასობრივი კვოტების შემოღების შესახებ - შეაჩერეს ან გააუქმეს.

პირველი, რაც აშშ-მ გააკეთა ევროკავშირის ქვეყნებში, ალბანეთსა და პოლონეთში და მისთვის ხელმისაწვდომ პოსტსაბჭოურ სივრცეში, უკრაინასა და მოლდოვაში, თავის მმართველობას დაუქვემდებარა ადგილობრივი სასამართლო სისტემები. დღეს მსგავსი მცდელობა აქვთ ისრაელში, დღემდე - ამის წარუმატებელი მცდელობა ჰქონდათ საქართველშიც.

დღეს ამერიკის მიერ სანქციებდაწესებული მოსამართლეების პერსონალიებზე საერთოდ არ გადის მათი მზაკვრული გეგმა. პირდაპირი ურტყამენ სუვერენულ სისტემას, მორიგი სტიგმაა შემოგდებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს სივრცეში. გუშინ ამ სტიგმას - "რუსული კანონი" და "რუსული ოცნება" წარმოადგენდა, დღეს "კორუმპირებული მოსამართლეები" შემოგვთავაზეს.

- ანუ, თქვენ ამბობთ, რომ მსგავსი „გეგმა“ სხვა ქვეყნებში წარმატებით განახორციელეს...

- წელიწადი არ გადიოდა, აშშ-ის მხრიდან, უნგრეთისა და პოლონეთის ხელისუფლებაზე, კომისიების მეშვეობით არ განხორციელებულიყო ფინანსური შანტაჟი. მათ გადარიცხული ტრანზაქციების შეზღუდვით ემუქრებოდნენ მანამ, სანამ სასამართლო სისტემის იმ რეფორმებს არ განახორციელებდა, რაც, პირველ რიგში, აშშ-ის ინტერესებში შედიოდა. პოლონეთმა ვერ გაუძლო ზეწოლას და იძულებული გახდა, ამერიკული რეფორმები გაეტარებინა. ზეწოლას ვერც ალბანეთმა და აღმოსავლეთის ბევრმა ქვეყანამ გაუძლო. ასეთი მიდგომა ჰქონდათ აშშ-ის საელჩოებს მოლდოვასა და უკრაინაშიც. 2021 წლის 29 ივნისს რადას მიაღებინეს კანონი, რომლითაც უკრაინის სასამართლო კოლეგიის პირადი შემადგენლობის შერჩევისას, გადამწყვეტი ხმა აშშ-ის ზეგავლენის ქვეშ მყოფი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ.

2021 წელს კი, სავარაუდოდ, სწორედ ამ მიზნით გამოიყო ჩვენი ქვეყნისთვის ის 75 მილიონი ევრო, რაზეც საქართველოს ხელისუფლებამ უარი განაცხადა. ამის შესახებ პირდაპირ არსად წერია, მაგრამ დიდი ალბათობით, უკრაინაში მიღწეული დადებითი შედეგის კვალობაზე, იყო მცდელობა, მოესყიდათ ჩვენი ხელისუფლება გადმორიცხული თანხის სანაცვლოდ, მოეხდინათ ზეწოლა პარლამენტზე და სასურველი შედეგი მიეღოთ.

- მახსოვს, ვერაფრით ახსნა საზოგადოებამ მაშინ, რატომ თქვა უარი ამ ფულზე ხელისუფლებამ. არც მმართველ გუნდს განუმარტავს. ეს იყო რეალური მიზეზი?

- ჩემი აზრით, ზუსტად ეს იყო მიზეზი და მოსამართლეებისთვის სანქციების დაწესებაც მხოლოდ სასამართლო სისტემის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად. იქმნება ძალიან უხერხული სიტუაცია. გამოდის, რომ მოსამართლემ ვერდიქტის გამოტანისას კანონით და მტკიცებულებათა ერთობლიობით კი არ უნდა იხელმძღვანელოს, არც ინტუიციას და პირად გამოცდილებას უნდა ენდოს, მან უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, მოეწონება თუ არა მის მიერ გამოტანილი ვერდიქტი ამა თუ იმ ქვეყნის საელჩოს და რა საპასუხო რეაქცია მოჰყვება ამას უცხო ქვეყნების მხრიდან. გარდა ამისა, როდესაც ქვეყანაში მოქმედებს ეროვნული, სუვენერული მართლმსაჯულების სისტემა, მათ შორის, ანტიკორუფციული ბიურო. ამ ყველაფერს სრულად უგულებელყოფენ და გვეუბნებიან, რომ კონკრეტული მიზეზი არა აქვთ და გადაწყვეტილება საჯარო წყაროებზე დაყრდნობით მიიღეს.

ხომ ხედავთ, რა სწრაფად დაიხია უკან კელი დეგნანმა? სანქცია კი არა, სავიზო რეჟიმის შეზღუდვა იყო მხოლოდ, განაცხადა. სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის დაფარვაზეც გვაქვს მუხლი და გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის თავის არიდებაზეც. რატომ არ გვაწვდიან ინფორმაციას კორუფციულ ფაქტებზე, თუკი ისინი არსებობს? "სავიზო შეზღუდვით" უნდათ, გადაფარომ წარმოუდგენელი სიცრუე? ან სახელმწიფო მდივანი რატომ ჩააყენეს ასეთ უხერხულ მდგომარეობაში?

- ეს კონკრეტული მოსამართლეები სახელმწიფო დეპარტამენტისგან მნიშვნელოვან განმარტებას მოითხოვენ, მაგრამ, სავარაუდოდ, მათაც მოუწევთ გარკვეული საკითხების განმარტება.

- ჩემთვის მათი პოზიცია ამ ეტაპზე გაუგებარია. როდესაც მოსამართლე ლევან მურუსიძე ამბობს, ნუ ამალაპარაკებთ, თორემ ისეთი რაღაცები ვიცი, ჯობს, ხმა არ ამოვიღოო. რას ნიშნავს ეს განცხადება? - ჯობს, ილაპარაკოს ყველამ! ახლა არ არის იმის დრო, რომ ვიღაცამ ტუზ-კოზირი ჯიბეში შეინახოს. დროა, თუ მართლა უდიდეს უსამართლობას აქვს ადგილი მათ მიმართ, ყველაფერი გაირკვეს.

ძალიან დიდი სურვილიც რომ მქონდეს ჩვენი მოსამართლეების გვერდში დგომის, სანამ არ მექნება სრული სურათი, რა მზაკვრობას ჰქონდა ადგილი იგივე აშშ-ის საელჩოს მხრიდან, მათი დაცვისგან თავს შევიკავებ. რა თქმა უნდა, აუცილებლად დავიცავ სუვენერულ სასამართლო სისტემას, მაგრამ ვიდრე ცალკეული მოსამართლეები არ დაგვეხმარებიან „საიდუმლოებების“ გასაჯაროებით და არ გამომაზეურებენ, რა კონსპირაციას ჰქონდა ადგილი მათ წინააღმდეგ, კონკრეტულ პერსონალიებს ვერ დავიცავ.

ჩვენი საკუთარი ძალებით და შესაძლებლობებით დავადგინეთ, რომ ეს ოთხი ადამიანი კორუფციონერია, მაგრამ კონკრეტულად რა დავადგინეთ, ვერ გეტყვითო, გვეუბნებიან ამერიკელი პარტნიორები. ანუ, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ასე ღიად მუშაობენ? ჩვენს მოქალაქეებზე აგროვებენ მაკომპრომეტირებელ მასალებს და ატარებენ დამოუკიდებელ გამოძიებას, ჩვენი ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს გვერდის ავლით?

- ამ ყველაფრის შემდეგ, ამერიკის მოქალაქე მარშალ ქომინსი ქვეყანაში არ შემოუშვეს, რომელიც, როგორც სუს-ის უფროსმა აღნიშნა, უშუალოდ ერეოდა საქართველოში მარტის თვეში გამართული აქციების ორგანიზებაში.

- 2014 წლის აპრილში ნაცების არასამთავრობო ორგანიზაციამ, "თავისუფალმა ზონამ" უკრაინიდან ჩამოიყვანა კიევის "მაიდანის" ერთ-ერთი პოლიტტექნოლოგი სვიატოსლავ ფედორჩუკი, რომელმაც ოპოზიციას, არასამთავრობო სექტორს და მათ მედიას "სახელმწიფო გადატრიალების" თემატიკაზე ტრენინგები ჩაუტარა. ტრენინგის ძირითადი არსი იყო, როგორ უნდა განხორციელდეს რევოლუციური გადატრიალება „მაიდანი“ საქართველოში. სწორედ ამის შემდეგ აიღო გეზი რადიკალიზაციასა და დესტრუქციისკენ ჩვენმა ოპოზიციამ. ეს ბატონი რომ არ შემოეშვათ მაშინ საქართველოში, ძალიან კარგი იქნებოდა.

2021 წლის 28 სექტემბერს, როდესაც სააკაშვილი, კონტრაბანდული საქონელივით, უკვე არაჟნით სავსე კონტეინერში იყო ჩასმული - კიევი-თბილისის რეისით საქართველოში ჩამოფრინდა კიევის "მაიდანისა" და დონბასის "ანტიტერორისტული ოპერაციის" მონაწილე ოცამდე უკრაინელი მამაკაცი. ჩამოფრინდნენ თანხის გარეშე და ვერც მისამართი

დაასახელეს, სადაც უნდა დაბინავებულიყვნენ. რა თქმა უნდა, ყველა იქნა დეპორტირებული უკან, სამშობლოში. სამ დღეში კი გავიგეთ, რომ რუსთაველზე დიდი არეულობა იგეგმებოდა.

2021 წლის ოქტომბრის მიწურულს საქართველოში არ შემოუშვეს საერთაშორისო დონის ორი თაღლითი და პროვოკატორი - დმიტრი გორდონი და ყაზახეთის მიერ ძებნილი მარგულან სეისემბაევი - ესეც სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებით იყო განპირობებული. დარწმუნებული ვარ, 2022 წლის აპრილის შემდეგ, საქართველოში არც პიტერ აკერმანს შემოუშვებდნენ. თუმცა მან ეს შესაძლებლობა თავად აგვარიდა - გარდაიცვალა.

საქართველოს სახელმწიფოს ბოლო გადაწყვეტილება, ქვეყანაში არ შემოუშვან მარტის არეულობის ერთ-ერთი "ტრენერი" ორგანიზატორი, აშშ-ის მოქალაქე მარშალ ქომინსი - ასევე ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებით იყო ნაკარნახევი, რის გამოც, მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს სპეცსამსახურებს და მათ ღირსეულ ხელმძღვანელს, გრიგოლ ლილუაშვილს!

- მომავალი წელი მნიშვნელოვანი საარჩევნო წელია როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ასევე, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისთვის. რას ეტყოდით ჩვენს პარტნიორებს?

- ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანი საარჩევნო წელია 2024 წელი საქართველოში, ევროპარლამენტში, აშშ-ში და, ზოგადად, მსოფლიოში. ჩემი ერთ-ერთი სათაყვანებელი პოლიტიკოსი, მისაბაძი სახელმწიფო მოღვაწე არის ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი და, რა თქმა უნდა, მხარს დავუჭერ ამერიკის პრეზიდენტობის ნებისმიერ კანდიდატს „რესპუბლიკური პარტიიდან“.

შევახსენებ ამერიკელ პარტნიორებს, რომ, როდესაც პოლარიზაციაზე საქართველოსკენ იშვერენ ხელს, ჯერ ის თავიანთ ქვეყანაში მოიკითხონ, სადაც მართლა 50-50-ზეა საზოგადოების პოლიტიკური გემოვნება და მედიასაშუალებები გაყოფილი და არის უკიდურესი ანტაგონიზმი მხარეებს შორის. დაგვისახელოს რომელიმე ამერიკელმა ან ევროპელმა სახელმწიფო მოხელემ "დემოკრატიული" სახელმწიფო, თავიანთი ქვეყნებიდან დაწყებული, რომელიც თავისუფალია სახელმწიფო ინსტიტუტებში არსებული კორუფციისაგან! უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, დასავლეთის მიერ შემუშავებული ინდიკატორებით, სწორედ საქართველოს უჭირავს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით.

დღეს ევროპარლამენტი ჩაბმულია კორუფციულ სკანდალში, მაგრამ რომელიმე ევროდეპუტატის მიმართ გამოტანილი ამერიკული სანქციების შესახებ გსმენიათ?

მხარს ვუჭერ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას! ოღონდ, ასპროცენტიანი შედეგი დაიდოს ამ ოთხი მოსამართლის კორუფციონერობაზე და, დადასტურების შემთხვევაში, მასალები მთავარ პროკურატურას გადაეგზავნოს. ამერიკულ მხარეს ვთხოვ, კეთილსინდისიერად ითანამშრომლოს ამ კომისიასთან.

ჩვენ კი, ამ მორიგ სტიგმას, სიცრუეს, ცილისწამებას, ჩვენი სახელმწიფოებრიობის ჩამოშლის მორიგ მცდელობასაც გადავაბიჯებთ და მშვიდობით, ღირსებით, ჯანსაღი თავდაჯერებით განვაგრძობთ ქართულ საბაზისო ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყნის აღმშენებლობას.

ნონა ქარქაშაძე

10 წლის წინათ მათ ხელი დააფარეს და ახლა ამ ფორმით სანქციების დაწესება არასწორია

„სახელმწიფო ოჯახივითაა, როგორც შენი ოჯახის საქმეებში ჩარევას აქვს გარკვეული წესები, ასევეა სახელმწიფოც, თუ ადამიანს ოჯახისა და სახელმწიფოს მიმართ ერთნაირი მიდგომა აქვს“, - აღნიშნავს თადარიგის გენერალი, ანალიტიკოსი ამირან სალუქვაძე „საერთო გაზეთთან“ კომენტირებისას და აშშ-ის მიერ ქართველი მოსამართლეების წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებზე საუბრობს:

— როცა შენს თანამემამულეს უცხო ქვეყანა სჯის, ეს უნდა გაწუხებდეს. სხვა ქვეყანაში სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენებსაც საკონსულო მომსახურებას უწევენ და არ ითხოვენ მათ დასჯას. ჩვენი ოპოზიცია კი, რადგან სხვაგვარად ვერ ერევა ოპონენტს, წლებია, სანქციების დაწესებას ითხოვს. განსაკუთრებით გააქტიურდნენ უკრაინაში რუსეთის აგრესიის შემდეგ.

შეიძლება არ მოგწონდეს ხელისუფლება, ებრძოდე მას კანონიერი გზებით, მაგრამ, როცა სხვა, თუნდაც ყველაზე სტრატეგიულ მოკავშირეს სთხოვ შიდაპოლიტიკურ ბრძოლაში დახმარებას, წარმოდგენა არ გაქვს არც თავისუფლების, არც სუვერენიტეტის შესახებ და ხელისუფლების საჭესთან ახლოს მისაშვები არ ხარ.

სანქცია სასჯელის ფორმაა. არ შეიძლება, შენი თანამოქალაქის მიმართ მოითხოვო ფინანსური, ადმინისტრაციული, სავიზო ან სისხლის სამართლის სასჯელი.

საკუთარ შვილს სკოლაში კლასელის მშობელმა, ან უბანში მეზობელმა ყური რომ აუწიოს, რა რეაქცია გექნება ნორმალურ ადამიანს?! ხომ ეტყვი, ჩემს შვილს რა უფლებით სჯი, თუ რაიმე დააშავა, მე რატომ არ მითხარიო?!

ასევეა სახელმწიფოც. თუმცა, უსამშობლოებისთვის სუვერენიტეტის არსის ახსნა, სახელმწიფოს ოჯახის ჭრილში დანახვის მოთხოვნა, ჰაერის ტკეპნის ტოლფასია.

რა უნდა მოსთხოვო მათ, როცა ეროვნული ერთიანობის დღეს, 9 აპრილს აწყობენ აქციას, რათა დაიცვან: ვაზი, რომელიც აჩეხინეს; ღვინო, რომელშიც ჩაუშარდეს; იდენტობა, კულტურა და ტრადიციები, რასაც წლებია, ებრძვიან და ანადგურებენ.

კლიპში აჩვენებენ ვაზს, ღვინოს, ეკლესია-მონასტრებს, პირველ პრეზიდენტს...

თურმე, ქვეყანა უნდა დაიცვან რუსეთისგან, რომლისგან ერთხელ უკვე “დაიცვეს”, მერე ნახევარი ეკონომიკა და ენერგეტიკა გადაულოცეს, საზღვრები გაუხსნეს, საზღვარზე წითელი ხალიჩა დაუგეს, რუს ბიზნესმენებს ეპატიჟებოდნენ, რუსული ფულის მიმართ ანოსმია ჰქონდათ და პუტინს ღია გზავნილებს უგზავნიდნენ, მზად ვართ დიალოგისთვის სადაც გაგიხარდებათ, ვისთანაც გაგიხარდებათ, როცა გაგიხარდებათ, ნებისმიერ ფორმატში, ნებისმიერ თემაზე, წინაპირობების გარეშეო (უამრავი მასალაა ამის დამადასტურებელი ინტერნეტში). ამ ყველაფერს აკეთებდნენ სამი ომის შემდეგ.

არა რეპრესიებსო, - კლიპში ამბობენ. არადა, ხალხმა ზუსტად რეპრესიების გამო უთხრა მათ უარი და დღესაც ისევ რეპრესიებით იმუქრებიან.

— **მაინც, რას და ვის ინტერესებს ემსახურება მოსამართლეებისთვის სანქციების დაწესება ამ ფორმით და ვის აძლევს ეს ხელს, ბატონო ამირან?**

— ხარობს ისევ ურეიტინგო, მოსახლეობის უმეტესობისთვის მიუღებელი ოპოზიცია, სეირს უყურებს და ხარობს კრემლი. ვინმეს ჰგონია, ძველი მოსამართლეების ბედი მადარდებს? - რა თქმა უნდა არა! უბრალოდ, როცა 10 წლის წინათ მათ ხელი დააფარეს და ახლა ამ ფორმით სანქციებს ადებენ, ეს გავლენას ახდენს საქართველოს შიდა პოლიტიკაზე და პოლიტიკურ პროცესებზეც, რაც არასწორია.

დამოუკიდებლობის 30 წლისთავზე თავისუფლების და სუვერენიტეტის არსის ახსნა გვიწევს, რაც ძალიან სამწუხაროა. სუვერენულობა, სუვერენული თავმოყვარეობა და ღირსება არის თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის საფუძველი. ესაა თემა და არა ამ ოთხი მოსამართლის ყოფნა-არყოფნა.

მრავალი წელი ვიცხოვრეთ ისეთ რეალობაში, როცა გვკარნახობდნენ, დოკუმენტური ფილმი გადაგვეღო თუ - მხატვრული, რა თემაზე და როგორ გადაგვეღო, რა სპექტაკლი დაგვედგა, სახლები რა ფერად შეგვეღება... ამ ყველაფერს ამტკიცებდნენ მოსკოვში, სასწავლო პროგრამებსაც კი იქ გვიდგენდნენ... ჩვენ ეს გამოვიარეთ, რამაც ძალიან დაგვაზარალა. ახლა კი გვაქვს მინიმალური სუვერენული მოთხოვნები და, კარგი იქნება, თუ ამაში არ ჩაერევიან.

მეზობელი სახელმწიფოები და მთელი მსოფლიო გვიყურებს, რომ თითი დაგვიქნიოს. ეს ხომ გავიარეთ და არ მოგვწონდა?!

ან ხარ თავისუფლების და სუვერენიტეტის ღირსი და დაიცავ, ან - არა. სახელმწიფოებს, განსაკუთრებით სტრატეგიულ პარტნიორებს შორის, ნებისმიერი პრობლემა მოლაპარაკებების მაგიდასთან უნდა წყდებოდეს. დახურულ კარს მიღმა ყველაზე მძიმე საუბრებიც მისაღებია, ნორმალურია, მაგრამ შემდეგ, როცა ბრიფინგზე დადგებიან, ეჭვი არავის უნდა შეეპაროს მათი პარტნიორობის სიმტკიცეში.

ორი საკითხი იყო, რომელთა გამო არსებულმა ხელისუფლებამ მოსახლეობაში, მათივე ამომრჩეველში, პოლიტიკური ფასი გადაიხადა. ესაა კოჰაბიტაცია და წინა ხელისუფლების დროინდელი მოსამართლეების დატოვება. ერთიც და მეორეც გარედან იყო თავსმოხვეული.

ყველამ კარგად იცის, როგორ აარიდეს თავი გარკვეულმა პირებმა სასჯელს. ვხვდებით, რატომ აფარებენ თავს ძებნილი პირები სხვა ქვეყნებში. ასევე, კარგად გვახსოვს იმ წლების აჟიოტაჟი, რომ ძველი მოსამართლეებისთვის ხელი არავის ეხლო.

ნამდვილად ვერ ვიქნები ამ მოსამართლეების დამცველი, მაგრამ ასევე კომიკურია, როცა „ნაცმოძრაობის“ აქტივისტი დღეს ერთ-ერთ მოსამართლეს, რომელსაც სანქციები დაუწესეს, ნაძირალას ეძახის. ახლა გახდნენ თქვენთვის ნაძირლები? 2012 წლამდე არ იყვნენ, ან 2012-2013 წლებში რატომ ეფარებოდით მკერდით, მთელი არასამთავრობო სექტორით? ლოგიკა ასეთია: თუ მათ დასჯაზეა საუბარი და ბოლომდე უნდა მივდიოთ ამ მოსამართლეებს, მაშინ მათ „შემქმნელებამდეც“ მივდივართ. რა გამოდის?! — „ნაციონალებმა“ აარიდონ პასუხისმგებლობას თავი და მოსამართლეებზე გადატყდეს ყველაფერი?!

ვერ ვხედავ პრობლემას, 2024 ან 2028 წლებში „ქართული ოცნება“ არჩევნებს თუ წააგებს, მაგრამ მიუღებელია რევანში, მიუღებელია დღევანდელი ოპოზიციის ხელისუფლებაში ამ ფორმით, ამ შინაარსით, ამ შემადგენლობით, ამ განწყობებით და ღირებულებებით მოსვლა. ეს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის პოზიციაა.

— **როგორც ვიცი, მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყანა მცდელობას არ აკლებდა, რათა პარტნიორების წინაშე დაკისრებული ვალდებულებები შეესრულებინა. მეტის გაკეთებასაც ცდილობდა, რაც თავისი მცირე რესურსით შეეძლო...**

„ორი საკითხია, რის გამოც ხელისუფლებამ პოლიტიკური ფასი გადაიხადა. ერთიც და მეორეც „გარედან“ იყო თავსმოხვეული“

— ათეული წლების განმავლობაში ყველანაირად ვცდილობთ, რომ ჩვენი ინტერესები მინიმუმადე დავიყვანოთ. რადგან პატარა ერი ვართ, გვაქვს პირველი ამოცანა გადარჩენისა, ამ არეულ მსოფლიოში. გვაქვს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, ეროვნული იდენტობის პრობლემები... მაგრამ ასევე, გვაქვს ღირებულებები, რელიგია, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, გვყავს ეროვნული და რელიგიური უმცირესობები, ვისწრაფვით ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისკენ და ასე მოვდივართ, საუკუნეებია, ამიტომაც გვქვია ქართველები!

ეს ის ღირებულებებია, რაც არც აშშ-ს და არც ევროპელ პარტნიორებს პრობლემას არ უქმნის, ჩვენ არ გვაქვს ისეთი ინტერესები, რაც წინააღმდეგობაში მოდის მათ ინტერსებთან. ყველა საერთაშორისო მისიაში ჩვენი პარტნიორების გვერდით ვართ და არ ვაყვედრით მათ ერაყში, კოსოვოში, ავღანეთის მისიებში მონაწილეობას... მუდმივად გვერდში ვედექით და სერიოზული მსხვერპლიც გავიღეთ. ვინმე ფიქრობს, რომ ერაყში ან ავღანეთში წესრიგის დამყარება გვადარდებდა? - პირველ რიგში, ჩვენს პარტნიორს, ამერიკას დავუდექით გვერდში.

პარტნიორებს მოსახლეობის უმრავლესობის ხმა უნდა ესმოდეს და, თუ დახმარებაა, პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღებაში უნდა გვეხმარებოდეს. ესეც ჩვენი შიდა საქმეა, თუმცა, ჩვენი ნების, განწყობების ფეხებზე დაკიდება და ისევ წინა ხელისუფლების თავსმოხვევა ნამდვილად არ უწყობს ხელს პარტნიორების მიმართ კეთილგანწყობის ამაღლებას.

— **ასოცირების შეთანხმება, უვიზო მიმოსვლა, თავისუფალი ვაჭრობა... იმ ხელისუფლების დამსახურებაა რადიკალური ოპოზიცია „რუსეთუმედ“ რომ მოიხსენიებს, კანდიდატის სტატუსსაც ვიმსახურებდით, მათივე მონდომებული მცდელობით რომ არ დაგვეკარგა...**

— ერთი რამ მიკვირს, - ათი წელია, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია, ყველა ბერკეტი ხელთა აქვთ და თუ რუსეთისკენ მიგვაქანებენ, რით ვერ დავუახლოვდით ამდენ ხანს? კედელს იქით არიან, ბაზები აქვე აქვთ, პირდაპირ ცხვირწინ და როგორ ვერ მოხერხდა ჩვენი რუსეთში შესვლა?

გვახსოვს, რუსეთ-უკრაინის ომამდე ნატო-ს გენერალური მდივნის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ საქართველო არასდროს ყოფილა ასე ახლოს ნატო-სთან, რომ ჩვენი ქვეყანა, ფაქტობრივად, მზადაა ნატო-ს წევრობისთვის და უკეთეს პოლიტიკურ სიტუაციას ველოდებით.

დაწყებული ასოცირების ხელშეკრულებიდან, ნატო-სა და ევროკავშირთან მიღწეული წარმატებები „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დამსახურებაა და ამას „ნაცმოძრაობა“ ნუ დაიბრალებს. თუკი ასეთი ადვილად მიღწევადი იყო, მოეწერათ ხელი მანამდე ასოცირების ხელშეკრულებისთვის, რატომ ვერ მოახერხეს ეს 2014 წლამდე? არც წინა და არც იმის წინა ხელისუფლებას ვუკარგავ, რაც გააკეთეს ევროატლანტიკური კავშირის მიმართულებით, თუმცა, ისეთი ანტიევროპული სისტემა შექმნეს, ამას პარტნიორებიც ხედავდნენ და ამიტომ იყო წინსვლა შეფერხებული.

სრულიად უსამართლოდ ვერ მივიღეთ კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, მაგრამ ნახევარი საფეხურით დაბლა ხარ, ფაქტობრივად, როცა ევროპულ პერსპექტივას განიჭებენ. იმისათვის, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი და შემდეგ უკვე წევრი გავხდეთ, საჭიროა, ყველა სფერო დავუახლოვოთ და მივუსადაგოთ ევროკავშირში მოქმედ რეგულაციებს, უამრავი სამუშაოა ჩასატარებელი... ახალგაზრდებზე და ბავშვებზე არ ვლაპარაკობ, ის ადამიანები, რომლებმაც იციან, რომ წლიდან

6 გვ.

გვესაუბრება
არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

ამერიკას უნდა, ჩვენი სასამართლო დაიქვემდებაროს, ესაა დემოკრატია?!

ქართველი ხალხისა და ხელისუფლების გადასაწყვეტია: კოლონიად ყოფნა გვინდა თუ თავისუფლება...

— აშშ-მ ოთხ მოსამართლეს: მურუსიძეს, ჩინჩალაძეს, ცერცვაძესა და შენგელიას სანქციები დაუწესა. მიზეზად მოსამართლეების კორუფციულ სქემებში ჩართვა სახელდება.

— სამწუხაროდ, ბოლო დროს ყველა ქმედება, რაც საქართველოს მიმართ აშშ-ის საელჩოდან და თეთრი სახლიდან ხორციელდება, ჩვენი ქვეყნის დესტაბილიზაციას ემსახურება. ეს მოწმობს, რომ ამერიკა საქართველოში არეულობის მოწყობას, მეორე ფრონტის გახსნას მხარს უჭერს. რაც შეეხება კონკრეტულად მოსამართლეებისთვის სანქციების დაწესებას, ეს ქართულ მართლმსაჯულებაზე ძალაუფლების მოპოვების მცდელობითაა განპირობებული. ასე უფრო ადვილია მოსამართლეების დაშანტაჟება, დაშინება და გადაბირება. ამერიკას უნდა, ჩვენი სასამართლო დაიქვემდებაროს და ამას ეძახიან დემოკრატიას?! ვფიქრობ, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მათ მოსამართლეების დამორჩილება გაუჭირდებათ. იმედი მაქვს, ამ წნეხსაც გავუძლებთ და სასამართლო დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი იქნება როგორც გარე ძალების, ისე შიდა ძალების მხრიდან.

— თქვენ თუ მოისმინეთ, ეს ბრალდება რა მტკიცებულებებს ეფუძნება?

— როგორ ფიქრობთ, მათ რაიმე მტკიცებულება რომ ჰქონდეთ, არ წარმოადგენდნენ?! გვეუბნებიან, საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი თავად გამოიძიოსო. მაგრამ რა უნდა გამოიძიოს მთავრობამ, ხომ უნდა დაასახელო კონკრეტული ფაქტი?! ამაზე აშშ-ს პასუხი არ აქვს. ცხადია, ეს პიარზე, შანტაჟზე აგებული ძალადობაა, რასაც რეალური საფუძვლები არ გააჩნია. თუ ეს მოსამართლეები მაინცდამაინც დასასანქცირებლები იყვნენ, ეს სააკაშვილის რეჟიმის დროს, მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა მართლა დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა. ავიღოთ გირგვლიანის საქმე, რომელიც ევროსასამართლომ განიხილა და დაადგინა: ხელისუფლების ყველა შტო, მათ შორის, პრეზიდენტი შეთანხმებული იყვნენ, რომ გირგვლიანის საქმე, რეალურად, არ გამოძიებულიყო-ო-. სტრასბურგმა ეს გადაწყვეტილება 2011 წელს გამოიტანა. თუ თეთრ სახლს უნდოდა, სამართალი აღსრულებულიყო, სანქციები სწორედ მაშინ უნდა გამოეყენებინა. იგივე შეეძლოთ გაეკეთებინათ სულხან მოლაშვილის საქმესთან დაკავშირებითაც. მაშინ ამ მოსამართლეებს თავად ლობირებდნენ, რადგან ეგონათ, რომ მათ, როგორც სააკაშვილის

რეჟიმის დროს მართავდნენ, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგაც ასევე გაგრძელდებოდა. ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციებიც, ის აგენტები, რომლებიც დასავლეთიდან ფინანსდებიან, ასევე ლობირებდნენ ამ მოსამართლეებს და გაიძახოდნენ, მათ ხელი არ ახლოთო. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მზად იყო, მიშასდროინდელი მოსამართლეები გაეთავისუფლებინა, ამერიკამ ამისი უფლება არ მისცა და ისინი თანამდებობებზე დაატოვებინა. თუმცა, როცა დაინახეს, რომ ამ მოსამართლეებს ვეღარ მართავდნენ, მათი სახლებში გაშვება მოითხოვეს, ახალმა ხელისუფლებამ კი ისინი თაანამდებობებზე დატოვა. სხვათა შორის, დღეს ამ მოსამართლეების მიმართ ევროსასამართლოს

არავითარი პრეტენზია არ აქვს. მათ მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს სტრასბურგი ეჭვქვეშ არ აყენებს. მეტიც, ყველა პოლიტიზებულ საქმეზე, რაც კი სტრასბურგში „ნაცმოძრაობის“ თუ მისი სატელიტების მხრიდან გაიგზავნა, ქართული სახელმწიფო გამართლდა. საქართველოს ხელისუფლებას კრიმინალური არაფერი ჩაუდენია. ძველი ხელისუფლების დროს არსებული პრობლემები პრობლემებად დარჩა. ის ადამიანები, რომლებიც ახლა მურუსიძე-ჩინჩალაძის დასჯას მოითხოვენ და მათ ე.წ. კლანს უწოდებენ, ადრე მათ დარჩენას ემხრობოდნენ. ეს პარადოქსია.

— როგორ ფიქრობთ, მოსამართლეების დასანქცირება პოლარიზაციის წახალისებას ხომ არ შეუწყობს ხელს?

— საოცარია, 12-პუნქტიან რეკომენდაციაში მოგვიწოდებენ, რომ პოლარიზაცია შევამციროთ. ამ დროს კი, გეთანხმებით, ეს ქმედება პირდაპირ პოლარიზაციის წახალისება და დესტაბილიზაციისთვის ხელშეწყობაა. ჯერ ერთი, ამერიკაში პოლარიზაცია ნამდვილად არ უნდა უკვირდეთ! გაუგებარია, რატომ გვიყენებენ კანდიდატის სტატუსის მიღების აუცილებელ პირობად დეპოლარიზაციას?!

— რა გამოდის, საქართველოს უკრაინიზაცია უნდათ და კანდიდატის სტატუსს საბაბად იყენებენ?

— დიახ, სწორედ ეს უნდათ. თუმცა, ვფიქრობ, ქართულმა საზოგადოებამ უკვე გააცნობიერა, რასთან გვაქვს საქმე, საით მივყავართ ამ რეკომენდაციებს და ე.წ. ჩვენს დაუძინებელ მეგობრებს. იმედი მაქვს, ქართული საზოგადოება სწორ პოზიციას დაიკავებს და ე.წ. გლობალური ომის პარტია ქვეყანაში არეულობის მოწყობას, ომის გაჩაღებას ვერ შეძლებს. სამწუხაროდ, დღეს ამ ომის პარტიის მხარეს დადგა პრეზიდენტი ზურაბიშვილიც. მან ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ არც შარშან ვიმსახურებდით კანდიდატის სტატუსს და არც წელს. დიახ, სალომე ზურაბიშვილი პირდაპირ უცხო ქვეყნის სამსახურში ჩადგა და სწორედ მათ მესიჯებს აჟღერებს. მისი ლექსიკა ნაცებისას გაუთანაბრდა, რაც სამარცხვინოა.

— ქალბატონო ნანა, რამდენად მოახდენს გავლენას სანქციები, ზოგადად, მოსამართლეთა კორპუსზე. ნიშნავს თუ არა ეს ამერიკის მხრიდან დანარჩენ მოსამართლეებზე ზეწოლას?

— იცით, რა, თუ აქამდე ვინმეს ილუზია ჰქონდა, რომ აშშ-ის მხრიდან მოსამართლეებზე ზეწოლა მოგონილი იყო, ახლა ამაზე კითხვის ნიშნები აღარ უნდა გვქონდეს. ამისთვის ურთმელიძის მაგალითიც საკმარისია. საქმე საკმაოდ სერიოზულადაა — ამერიკული მხარე

მას ამერიკაში შესვლაც შეეზღუდა. ეს არის მათი დემოკრატია — მოსამართლეს ელჩი იბარებს და თითს უქნევს, ეს გადაწყვეტილება რატომ მიიღეო. ამერიკის ხელისუფლებისთვის დემოკრატია მათი „შუქურას“ — „პოლიტპატიმარ“ მიშას გათავისუფლებაა!

სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის გამოხმაურება მოსამართლეებისთვის სანქციების დაწესებაზე. მან თქვა, რომ ჩვენ ცალ ფეხზე არ დავდგებით და ჩვენს სუვერენიტეტს დავიცავთ. ზოგადად, მისი გამოსვლები ძალიან მომწონს, უაღრესად გონიერი და განათლებული კაცია.

— სააკაშვილის, ადეიშვილის, სისტემის შემოქმედებზე არაერთი მტკიცებულება არსებობს, თუნდაც სტრასბურგის სასამართლოთი დადასტურებული, მაგრამ მათთვის სანქციები არავის დაუწესებია, პირიქით, როგორც ახლა აღნიშნეთ: მიშას გათავისუფლებასაც კი მოითხოვენ...

— დიახ, ეს აშშ-ის მხრიდან ძალადობაა და სხვა არაფერი. ამერიკა საქართველოზე ძალადობს და პირდაპირ გვეუბნება: შენ არ უნდა იყო სუვერენული ქვეყანა, არამედ როგორც კოლონია, ისე უნდა იმართებოდეო. ეს პირდაპირი განაცხადია იმისა, რომ ისინი ჩვენ პარტნიორად კი არა, კოლონიად აღგვიქვამენ! ამას არც მალავენ. ჩვენი, ქართველი ხალხისა და ხელისუფლების გადასაწყვეტია: კოლონიად ყოფნა გვინდა თუ თავისუფლება. ვფიქრობ, არც დღევანდელ ხელისუფლებას უნდა, ერი მონურ მორჩილებაში იმყოფებოდეს. ფაქტობრივად, ბოლო 30 წელი ერთსა და იმავე წრეზე ვტრიალებთ. შედეგი ნულია, თუნდაც ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ეკონომიკის განვითარების კუთხით და ა.შ. ფაქტობრივად, ამ წლების განმავლობაში სტაგნაციის მეტი არაფერი ყოფილა. დღესაც იგივეს განაგრძობენ, ხელისუფლებას ისევ მუქარის ტონით ესაუბრებიან, თუმცა, ეს აღარ გამოუვათ. პრემიერმა ღარიბაშვილმა ნათლად თქვა: ჯერ ქართველი ხალხის ინტერესებს გავითვალისწინებთ და მერე სხვებისასო. დიახ, საქართველოს ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს, შეძლებს, რომ ქართველ ხალხთან ერთად სუვერენულ, დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში იცხოვროს.

— დეგნანს ჰკითხეს: სააკაშვილის რეჟიმის დროს რატომ არ მოხდა კორუმპირებულთა დასჯა. მან უპასუხა: სანდო ინფორმაცია ვისზეც გვქონდა, სანქციები მათ მიმართ გამოვიყენეთო. ანუ, მიშას დროს რაც ხდებოდა, არ იცოდნენ?

— ყველა დანაშაულის შესახებ გადასარევად იციან. უბრალოდ, ხომ გვახსოვს გამოთქმა: ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილიაო. აი, ზუსტად ასე იყო. სააკაშვილი და მისი კრიმინალური ბანდა ამერიკის ძაღლიშვილები იყვნენ.

— ამერიკის ელჩმა აქ მოღვაწეობა შეაჯამა და აღნიშნა: ვმუშაობთ იმისთვის, საქართველოში დემოკრატია რომ ავაშენოთო...

— მათი გაგებით, იცით, რა არის დემოკრატია? — საქართველოში ამერიკული მმართველობა! თურმე, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს, თავად ვმართავთ ჩვენს ქვეყანას და კანონებსაც საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მივიღებთო, რომ ვთქვით, ეს ყოფილა დემოკრატიიდან გადახვევა. არადა, სუვერენულია ქვეყანა, რომელიც საკუთარ ტერიტორიაზე კანონებს თავადვე

გვ3.

ახლა მთავარია, ვაშინგტონის ცკ-ს გადაწყვეტილების შესასრულებლად მთელი „პროდასავლური“ სანაცეთი დაირაზმოს

5 გვ.

აწესებს. თუ ამისი უნარი არ გვაქვს, მაშინ კოლონია გამოდიხარ. ამას ქართველი ერი არ დაუშვებს!

— ელჩმა „უცხო გავლენის აგენტების გამჭირვალობის კანონის“ შესახებაც ისაუბრა და მას კრემლით შთაგონებული კანონი უწოდა. თან აღნიშნა: რუსეთში სწორედ ამ კანონმა გაანადგურა სამოქალაქო საზოგადოება და თქვენც ეს გინდათო?

— ეს პიარტექნოლოგიაა და მეტი არაფერი. ჩვენმა „დაუძინებელმა მეგობრებმა“ იცოდნენ საზოგადოების განწყობები რუსეთის მიმართ, რითაც ისარგებლეს და ააგორეს თემა, ვითომ ეს კანონი რუსული იყო. ჯერ ერთი, თავად რუსეთს ეს კანონი ამერიკული „ფარადან“ აქვს გადაწერილი, რომელიც 1938 წელს მიიღეს, რუსეთში კი — 2012 წელს. 1938 წელი უფრო ადრე იყო, თუ 2012 წელი?!

რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოებას, აშშ-ში არ არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც გარედან ფინანსდება. ყველა ენჯეო ქვეყნის შიგნიდან, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ამერიკული ფონდებიდან ფინანსდება. არასამთავრობოების მხოლოდ 2% არის გარედან დაფინანსებული. მე ესეც კი გამიკვირდა. ეს, ალბათ, ამერიკა-ევროპის ერთობლივი პროექტებია, თორემ, სხვა შემთხვევაში, იქ ასეთი რამ არ ხდება. ინდივიდიც კი რომ დაფინანსდეს გარედან, ეს ამერიკული კანონი მაშინვე გამოააშკარავებს და მას გარედან დაფინანსებული აგენტის იარლიყს მიაკრავს. რუსეთსა და საქართველოშიც მთელი არასამთავრობო სექტორი ამერიკიდან, დასავლეთიდან ფინანსდება. ასე რომ, ამაზე საუბარი თაღლითობა და მანიპულაციაა.

— რამდენად შემდგარია ჩვენთან სამოქალაქო საზოგადოება?

— დღეს ჩვენთან ასეა მიღებული — ვისაც დასავლეთი, ამერიკის საელჩო ცნობს, სამოქალაქო საზოგადოებაც ის არის. ანუ, ვისაც დასავლეთი თავზე ფულებს აყრის, სამოქალაქო საზოგადოებად სწორედ ის მიიჩნევა. ეს დიდი უსინდისობაა. ვინც გარედან არ ფინანსდება და თავისი შრომით, წვალებით ქვეყნისთვის სასარგებლო რაღაცას ქმნის, ის თურმე, არავინ ყოფილა. ხოლო ორგანიზაციები, რომლებიც გარე დაკვეთებს ასრულებენ და აქ ტექნიკური მთავრობის შექმნას გვიანონსებენ, თან ქვეყნის დასანგრევად მიტინგებსა და მანიფესტაციებს გვიტარებენ, თურმე, სამოქალაქო საზოგადოება ყოფილა. ამით რეალური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას უპირისპირდებიან. წესით, სამოქალაქო საზოგადოებაში უნდა შედიოდეს პოლიტიკური პარტიებიც, აქტიური, ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და ა.შ.

— ბოლოს, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება ტრამპის სასამართლოსთან დაკავშირებით...

— როგორც ტრამპმა აღნიშნა: სახეზეა მართლმსაჯულების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება. გამოდის, აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი აცხადებს, რომ 46-ე პრეზიდენტის მმართველობის დროს ხელისუფლება მართლმსაჯულებას პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის იყენებს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ქალთან 17 წლის წინათ ინტიმური ურთიერთობისა და 7 წლის წინათ შესაძლო ფინანსური გარიგების წინა პლანზე წამოწევა ტრამპის საარჩევნო კამპანიის „გაშავებას“ ემსახურება. მით უმეტეს, რომ მომდევნო სასამართლო სხდომა სწორედ საარჩევნო კამპანიის დაწყების პერიოდისთვის ჩაინიშნა. სწორედ იგივე ტაქტიკა აქვს აშშ-ს საქართველოშიც სასურველი ხელისუფლების მოსაყვანად. ჩვენს შემთხვევაში მარცხით დასრულდა აშშ-ის მცდელობა, გზა გაეხსნა იმ ყურმოჭრილი მონებისთვის, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, მის სასიკეთოდ და ქვეყნის საზიანოდ იმოქმედებდნენ. ინტერვიუს დასასრულს კვლავ იმ თემას დავუბრუნდები, რითაც დავიწყეთ: აშშ-ს არასდროს აღელვებდა წლების განმავლობაში პროკურატურის ჯიბეში მყარად და ღრმად ჩასმული სააკაშვილისდროინდელი სასამართლო. პირიქით, მაშინ ეს „დემოკრატიის შექურის“ ერთ-ერთ სიმბოლოდ ითვლებოდა. ისინი მუდმივად მფარველობდნენ და დღესაც მფარველობენ მართლმსაჯულების სისტემის ჯალათს ზურაბ ადეიშვილს. არც სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული სადისტური რეჟიმი უფრთხობდა მათ ძილს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა თურმე გამოიძია და დაინახა, რომ საქართველოს სასამართლო სისტემაში კორუფციაა, რომლის სათავე ოთხი მოსამართლეა და მათ სანქციები დაუწესა. თან გვეუბნებიან: ჩვენი საქმეა, ეს ყველაფერი საიდან გავიგეთ, თქვენ ამას არ გეტყვითო. მოკლედ, ვაშინგტონის ცკ-მ გადაწყვეტილება მიიღო და მათ ხომ არ შეეშლებოდათ?! ახლა მთავარია, ცკ-ს გადაწყვეტილების შესასრულებლად მთელი „პროდასავლური“ სანაცეთი დაირაზმოს და მოსამართლეები აიძულონ, კორუმპირებულები „ამხილონ“. ამ ნაბიჯით ამერიკა ცდილობს, ხელი შეუწყოს ისეთი ვითარების შექმნას, როცა რეალური ძალაუფლება ხელისუფლებას კი არა, მათ ოპონენტებს ექნებათ. მერე რევოლუციაც ადვილია და სახელმწიფო გადატრიალებაც. მოკლედ, აშშ ღიად ჩაება საქართველოს ხელისუფლებაში მისი (ამერიკის) მონამორჩილი პოლიტიკოსების მოსაყვანად ბრძოლაში და ჩვენი ქვეყნის სასამართლო ხელისუფლებაზე კონტროლი ღიად მოითხოვა. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად წამოეგება საზოგადოება გადაგდებულ ანკესს და რამდენად შეუწყობს ხელს, ნებით თუ უნებლიედ, სახელმწიფო გადატრიალებისთვის პირობების მომზადებას. თუ საზოგადოება ქვეყნის ინტერესების დასაცავად მზად იქნება, მაშინ ნაცების ჯოჯოხეთის განმეორების საფრთხე განეიტრალდება, რაც ბოლო ათწლეულში ქართულმა ხალხმა არაერთხელ მოახერხა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

10 წლის წინათ მათ ხელი დააფარეს და ახლა ამ ფორმით სანქციების დაწესება არასწორია

4 გვ.

წლამდე ევროკავშირის კანონმდებლობას ვუახლოვდებით, რატომ იქცევიან ქვეყნის საზიანოდ? რატომ ლაპარაკობენ აბსურდს და ატყუებენ ახალგაზრდებს?

— ახალგაზრდების გამოყენების მცდელობა კიდევ ერთი დანაშაულია რადიკალური ოპოზიციის მხრიდან, მათ მიერ ჩადენილი კრიმინალური ქმედებების „რომანტიზებასაც“ თუ გავითვალისწინებთ...

— ლაზარე რომ გმირად და სიმბოლოდ აქციეს, ეს არის ზუსტად ოპოზიციის სახე! კარგად მოიკითხოს მედიამ, ენჯეოებმა, ვისზე საუბრობენ, საერთოდ? ან რომელ თმის ფერზეა საუბარი? თმის ფერის გამო სჯიანო, რომ ამბობენ, ეს არის ძალიან დიდი უტიფრობა! არ მინდა, დავასახელო თქვენი კოლეგები, სერიოული წარსულის მქონე და აქამდე სერიოზული ბრენდის ქვეშ მომუშავე საგენტოები, რომლებიც ამას კადრულობენ. ბანერები აქვთ ფეისბუქგვერდებზე გამოჭიმული, თითქოს თმის ფერის გამო ისჯება ეს ადამიანი. თმის ფერი სად დაინახეს, გამაგებინეთ? პოლიციამ თმის ფერით გამოარჩია ნიღაბჩამოცმული ახალგაზრდა? რომელსაც არც თმა უჩანდა, არც კანის ფერი და არც თვალები! მისი იდენტიფიცირება მოხდა იმით, რომ მოლოტოვის კოქტეილებს და ქვებს ისროდა. ვიდეოკამერებით გაყვნენ და ნახეს, როგორ ჩაჯდა ტაქსიში, როგორ მივიდა სახლამდე. თმის ფერი, სახელი, გვარი და დაბადების წელი მხოლოდ მას შემდეგ გაარკვიეს, როცა ეს ვიდეოკადრები ამოიღეს. აღმოჩნდებოდა ვინმე ხუჭუჭა, ან მელოტი და იტყოდნენ, რომ თმა ჰქონდა გაცვენილი და ამის გამო დასაჯესო?!

ხომ ევროკავშირისა და ნატო-სკენ ვისწრაფვით! - ვნახოთ საფრანგეთი და მაკრონის განცხადება, რომელმაც ბრბოდ მოიხსენია ის ადამიანები, რომლებიც ანგრევენ ამტვრევენ, წვავენ... და ასობით ადამიანია დაკავებული. ანალოგიური ქმედებებისთვის ამერიკაში 900-ზე მეტი პირია დაკავებული უმძიმესი ბრალდებებით, ძალიან დიდი საპატიმრო ვადებით და თუ იქით მივდივართ, იქაური წესებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ, მათ შორის, პასუხისგების საკითხში...

უცხოელი პარტნიორები ხედავენ საშიშროებას, რომ საქართველოში შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა განწყობა ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით. როცა ჩადის იქ ოპოზიცია და ეუბნება, რომ ამ ხელისუფლებას არ მისცე სტატუსი, ჩვენ რომ მოვალთ, მერე მოგვეცითო, მათ არ სურთ, რომ დღეს საქართველო შევიდეს ევროკავშირში, შემდეგ კი მოვიდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც იტყვის, რომ აღარ უნდა ევროკავშირი, როგორც ეს ბრიტანეთმა გააკეთა. იმისათვის, რომ ქვეყანა კავშირის წევრი გახდეს, გარკვეული რესურსი იხარჯება და არავის უნდა ამ რესურსის უშედეგოდ გაფლანგვა. პოლიტიკური პარტიების უმეტესობა უნდა იყოს ევროკავშირის მომხრე, აი, ამის დანახვა სურთ მათ, რაც სამწუხაროდ, ოპოზიციას არ ესმის.

ნონა ქარქაშაძე

დღე, რომელიც არასოდეს უნდა დავივიწყოთ!

ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ხელმძღვანელებით ახალ ფაზაში რომ შევიდა, საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. მრავალათასიანი მიტინგი მოეწყო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც მალე საერთო მღელვარებაში გადაიზარდა. მიტინგები იმართებოდა მთავრობის სახლთან. 5 აპრილს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკები სამინისტროში დაგვიბარეს და დაგვავალეს, ჩვენს სამოქმედო უბნებზე დაგვეცვა წესრიგი, რათა მოსახლეობის დაპირისპირება არ მომხდარიყო.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები მზარს აქტიურად უჭერდნენ ეროვნულ მოძრაობას. გრძნობდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ძალადობრივი „ერთობა“ დასასრულს უახლოვდებოდა, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების აშკარა ნიშნებს ქმნიდა.

5 აპრილს პარლამენტის შენობის წინ შეკრებილი იყო „ზღვა“ ხალხი, იმართებოდა გამოსვლები. გამოდიოდნენ პატრიოტული მოწოდებებით. მოვისმინე ირაკლი წერეთლის ემოციური მოწოდება. მღეროდნენ „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს, გაისარჯოს და ბრძოლებში გაიხარჯოს“, მას მოყვებოდა „ჰერიო, ბიჭებო ჰერიო, არ გავახაროთ მტერიო“... იქ არსებული მუხტი და განწყობა გადამდები და ტანში ჟრუანტელის მომგვრელი იყო. ამწვანებული ხეები და ირგვლივ ჩამწკრივებული შენობები, თითქოს ღმერთის მიერ სხივდაფენილნი, მდუმარედ გატრუნულიყვნენ მომავლის მოლოდინით.

ნებისმიერ ადამიანს აიყოლიებდა თავისუფლებისთვის ბრძოლის ჟინით ნასაზრდოები განწყობა. სისხლი გამითბა ძარღვებში, საოცარი სურვილი მომეძალა, მივსულვიყავი მიკროფონთან და ხმამაღლა გამომეხატა საკუთარი განცდა, მადლობა მეთქვა ახალგაზრდებისთვის თავდადებისა და პატრიოტული სულისკვეთებისთვის. ვაგლახ, რომ სამსახურებრივი მდგომარეობა ამის საშუალებას არ მაძლევდა.

ქუჩას თავისუფლებისკენ მოედნისკენ დავყევი. გზის განაპირას მდგარი ჭადრები საახალწლო ნაძვისხეებივით მორთულიყვნენ ლექსებით, მოწოდებებითა და კეთილი სურვილებით გამთბარი ფურცლებით. ხეებს უხაროდათ, რომ მონაწილენი იყვნენ საერთო სახალხო აღტკინებისა, ტოტები ლაღრად გაეშალათ და თითქოს ასაფრენად იყვნენ მზად, რომ თეთრ ფურცლებს განდობილი მოსახლეობის სულიერი განწყობა სხვადასხვა მხარეს წაეფარფატებინათ.

ირგვლივ ურიცხვი სანთელი ენთო...

ლამპარივით ლაპლაპებდა ნათელი ალი და ცისკენ მიჰქონდა ქართველთა დაუოკებელი სურვილის ექო.

კვლავ და კვლავ ისმოდა ხმები — “ჰერიო, ბიჭებო ჰერიო, არ გავახაროთ მტერიო“...

დედაქალაქის მოსახლეობის თანასწორად სამეგრელოც აქტიურად გამოხატავდა ეროვნული თავისუფლებისკენ ლტოლვას.

ზღვასავით ღელავდა მხარე.

თავისუფლების სახელით თბილისში გამოსვლები თანდათან უფრო და უფრო გაფართოვდა. გავრცელდა ხმები, „კრემლი“ სასტიკი ზომების მიღებას აპირებსო. თბილისში ცხოვრობდა ჩემი უმცროსი ძმა - გოგი, რომელიც მხატვარი იყო და მთავრობის სასახლის უკან, ათარბეგოვის ქუჩაზე ცხოვრობდა. მას სამხატვრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული, ხელოვანი კაცი იყო. ზვიადს ახლოს იცნობდა. შესაბამისად, დემონსტრაციების სისტემატიური მონაწილე იყო. ეს ჩვენმა ასაკოვანმა დედამაც იცოდა და მუდმივად წუხდა უმცროსი შვილის ბედზე, რაიმე ცუდი არ მოიწიოსო. ცრემლიანმა მერამდენედ მთხოვა, ჩავსულიყავი მასთან და დედის სახელით მეთხოვა, თავს გაფრთხილებოდა. ვამშვიდებდი დედას, ხუთ აპრილს ხომ მასთან ვიყავი, აქტიური ახალგაზრდაა და მიტინგებზე ყოფნას ვერ დავუშლით-მეთქი.

მდგომარეობა დედაქალაქში ძალიან დაიძაბა. არ მეგულება ადამიანი, რომელიც გულგრილი შეიძლება დარჩენილიყოო იმ მოვლენებისადმი, რომლებლიც ქვეყნის თავისუფლებას უკავშირდებოდა. დედის თხოვნით იძულებული გავხდი, 8 აპრილს საღამოს მატარებელს გამოყოლოდი თბილისისკენ.

9 აპრილის დილაა. ვაგონიდან ჩამოვედი. თითქოს მკვდარია თბილისი. არ ჭაჭანებენ „ნასილშჩიკები“ და ტვირთის ხელით მზიდავები. ადამიანები ერთმანეთს თვალებით ვეკითხებით, რა ხდება? ზოგიერთს იმდენი ტვირთი აქვს, უჭირს ტაქსის გაჩერებამდე ხელბარგის ზიდვა.

ტაქსების გაჩერებაზე ბლომად შევგროვდით, მაგრამ ტაქსი არსად ჩანს. ამან კიდევ უფრო მეტად დაგვზაფრა.

რა მოხდა, ყუმბარა ხომ არ გასკდა?

მომწამლავმა თუ მხუთავმა გაზმა ხომ არ მოსრა ქალაქი?

გაკვირვებულმა ადამიანებმა შექმნილ მოულოდნელობაზე ჯერ ჩურჩულით, შემდეგ კი ხმამაღლა დავიწყეთ საუბარი. განსაკუთრებით ქალები ხმაურობენ.

როგორც იქნა, მოვიდა კერძო ტაქსი. ხალხი დაესია. ყველას ეჩქარება. განსაკუთრებით ბავშვების მშობლები აქტიურობენ... ტაქსის მძღოლმა ნაღვლიანი ხმით გვითხრა: „ღამე რუსის ტანკებმა გადათელეს პარლამენტის წინ მომიტინგეები... ჯალათებად მოსულმა ჯარისკაცებმა ნიჩბებით დაჩეხეს ასფალტზე მწოლიარე ადამიანები. ასობითაა დახოცილი და დაჩეხილი. სავადმყოფოები სავსეა დაჭრილებით...“

ეს შოკი იყო.

არა წუთიერი გარინდება, არამედ გოდებანარევი ხმების ქაოსი, რომელიც თბილისის მოქუფრულ და მგლოვიარე რეალობას შეერწყა...

მტანჯველ ამოოხვრას მოჰყვა აღშფოთების გამომხატველი სიტყვები. წუხილის საოცარი ტალღა დატრიალდა. ქალთა რიგებში გაისმა ქვითინი. ბევრს მიტინგზე ეგულებოდა ახლობელი თუ ნათესავი.

„ხომ არ დაჩეხეს? რა ბედი ეწია?“

არც მე აღმოვჩნდი უკეთეს დღეში. ყველა დაზარალებულის ბედი მაწუხებს, მაგრამ ძმის მდგომარეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვის. უკვე ადგილს ვერ ვპოულობ. ვწრიალებ. არადა, ტაქსები კანტიკუნტად ჩნდება. ვიღაცას ეყო გონიერება, წამოაყენა წინადადება, ერთი მიმართულებით წამსვლელები დაწყვილდით და ოთხი-ხუთი მგზავრი ერთად გაემგზავრეთო. ოცი თუ ოცდახუთი წუთის შემდგომ თვისუფლების მოედნისკენ მიმავალ მგზავრთა რიგებში აღმოვჩნდი. სახე ჩამომტირის. დანა პირს არ მიხსნის.

თითქმის ცარიელ ქუჩაზე ტაქსი გაქანდა. პლეხანოვის გავლითა და ელბაქიძის აღმართით რუსთაველის პროსპექტზე აღმოვჩნდი, მაგრამ კავშირგაბმულობის შენობის წინ გზა „კამაზის“ ტიპის სატვირთო მანქანებს აქვთ ჩაკეტილი. იძულებული გავხდი, მანქანიდან გადმოვსულიყავი. ხელჩანთა არ მაქვს. თანაც ჩემი ძმა იქვე ახლოს, კავშირგაბმულობის სახლის უკან ცხოვრობს. ფეხით წასვლა გადავწყვიტე. გვერდი ავუარე სატვირთო მანქანების ბარიკადს და პირდაპირ განვაგრძე გზა. უნებლიედ ტანკებითა და რუსი ჯარისკაცების ჩექმებით გადათელილ მოედანზე აღმოვჩნდი.

აქ მკვდრის ფერი ადევს ყველაფერს. თითქოს ირგვლივ ყველაფერი განიცდის მომხდარს და გლოვობს დაღუპულებს...

სამი სახანძრო მანქანა დგას. მოედანზე თავდახრილი დამლაგებლები გაფანტულან, სისხლიან ასფალტს რეცხავენ და ნაყარს გვიან. ირგვლივ ისეთი მყუდროებაა, აშკარაა, რომ საშინელმა



ქარიშხალმა გადაიარა. სადღაც გადაკარგულან მოედანზე მუდმივად მოფარფატე მტრედები. შავი ძაძა ჩაუცვამთ შენობებს. ციდან ჩამოიფრქვევა კრულვის ხმები. ჭადრის ხეები, რამდენიმე დღის წინათ საახალწლო ნაძვისხეებივით ლექსებითა და მოწოდებებით რომ იყო მორთული, ახლა შიშვლებიი დგანან, მოტყუებული პატარძლებივით მხრებჩამოყრილნი და აცრემლებულნი...

გაოგნებული ვდგავარ საშინელებაგამოვლილ მოედანზე. ნირწამხდარს არაფერი შემიძლია, გარდა ერთისა, მუშტი მოვიღერო და ხმამაღლა ვიყვირო:

„თქვენი დედაც, რუსებო! თქვე სისხლით გაუმაძღრებო!“

არ ვიცი, გაოგნებული, დაბნეული თუ გახევებული, რამდენ ხანს ვიდექი სისხლგამშრალი. როცა ვიგრძენი, მუხლმა მიმტყუნა, თვალებზე ხელი ავიფარე და პირველი საშუალო სკოლის წინ ლოდზე ჩამოვჯექი.

სული რომ მოვითქვი, გულმა ძმისკენ გამიწია. უფალს შევთხოვე, ცოცხალი დამხვედროდა.

ბარბაცით ავკვალე აღმართი. ქუჩის მოკლე მონაკვეთი გავლიე და იტალიურ ეზოში შვედი. თვალებით ვეძებ ვინმეს, რომ ვკითხო, ჩემი ძმა ცოცხალია თუ არა.

მადლობა უფალს, ცოცხალი დამხვდა.

საზარელი მოვლენის შთაბეჭდილების ქვეშ იყო. აღშფოთებული ორსართულიან გინებას უგზავნიდა საზიზღარ და ულმობელ დამპყრობს. ამბობდა, თვალები მეწვის, გულისრევის შეგრძნება მაქვსო. მივხვდი, ეს მომწამლავი გაზის ზემოქმედების შედეგი იყო.

საღამოსკენ დაწყნარდა. დამიჯერა. ექიმთან მივედით. მკურნალმა გვითხრა, რომ ეს მხოლოდ ცრემლსადენი გაზის ზემოქმედებას არ ჰგავდა და წამლები გამოუწერა.

სამწუხაროდ, ერთი წელიც ვერ იცოცხლა.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს ცხრა აპრილს დახოცილი გმირების სულებს.

9 აპრილს თავისუფლებისთვის გაღებული მსხვერპლი, მორიგი, ნათელი ფურცელია ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მატიანეში, 9 აპრილი კი ის დღეა, რომელიც არასოდეს უნდა დავივიწყოთ.

ბორის დავითაია
სენაკის საპატიო მოქალაქე

საქართველო უფალივით მარადიულია!

საქართველოს დამოუკიდებლობას არ დავთმობთ - ამის იმედი არავის ჰქონდეს

„საერთო გაზეთის“ სტუმარია კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა:

— ბატონო გოგა, 1989 წლის 9 აპრილიდან 34 წელი გავიდა. შეგვიფასეთ განვლილი პერიოდი დღემდე. მაშინდელ და დღევანდელ 9 აპრილს შორის რამდენად შესაძლებელია სულიერი ხიდი გაიბას, სულისკვეთება რამდენად საერთოა?

— პირველ რიგში, თქვენ და სრულიად საქართველოს ხარებას და ბზობის დღესასწაულებს გილოცავთ. დაე, უფალი და დედა ღვთისმშობელი შეგვეწიონ, ჩვენს ხალხსა და ქვეყანას სიხარული მოანიჭონ, შეგვინარჩუნონ მშვიდობა და მათი მადლით საქართველო გადაურჩეს იმ უბედურებას, რასაც ჩვენი „გავარვარებული მეგობრები“ და მათი მოსყიდული, გამოზრდილი და ნალოლიავები მეხუთე კოლონა გვიპირებენ.

ხაბეს „მოწყობილ“ 9 აპრილზე რა უნდა გითხრათ, სამარცხვინოა ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის, ჩვენი წარსულის, აწმყოსა და მომავლისთვის. 1989 წლის 9 აპრილისა და ხაბეს 9 აპრილს შორის პარალელის გავლება უხერხულია. იქ, სადაც კიკუ ვაშაძე, ლ□კა, გირჩი შარვალჩახდილი და ძმანი და დანი მათნი არიან არენაზე, მხოლოდ ცირკი ან შაპიტო თუ იქნება..

1989 წლის 9 აპრილი საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი დღეა. ერთი მხრივ, ეს იყო ქართველი ერის, მისი საუკეთესო, თუმცა მცირერიცხოვანი ნაწილის უკიდეგანო თავდადება დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და თვითმყოფადობის მოსაპოვებლად და დასაცავად, მეორე მხრივ, აქციის ე.წ. ლიდერების წაქეზებით, ყველა იქ შეკრებილის მიერ ჩადენილი დიდი სულიერი შეცდომა. რა დროსაც ჩვენ უფლის ნება კი არ აღვასრულეთ, რაც უწმიდესმა ილიამ გაგვიცხადა, არამედ ადამიანურმა პატივმოყვარეობამ და ამპარტავნებამ გვძლია. პატრიარქმა მოგვიწოდა: ქაშვეთის წმინდა გიორგის ტაძარში გადავსულიყავით, უფლისთვის მადლობა შეგვეწირა, ერთად გველოცა ჩვენი ქვეყნის გადარჩენისა და მისი უკეთესი მომავლისთვის. არა! — გაისმა მავანის ხმა! — არა! პატრიარქს ყური არ დაუგდოთ! ჩვენ თავად ვიცით, რაც არის საჭიროო! ამ დროს ერთადერთი, რაც მაშინ მოგვეთხოვებოდა, სახით უფლის ტაძრისკენ შევბრუნებულიყავით და მაცდურისთვის ზურგი გვექცია.

ეს შენობა ბოლშევიკებმა ქართველი პატრიოტების, თავისუფლებისთვის ბრძოლაში თავდადებული ბიჭების, ქართველი იუნკრების საფლავებზე, დანგრეული ეკლესიის ადგილზე ააშენეს. იმ დღიდან მოყოლებული, აღარ დამთავრდა სისხლისღვრა და დაპირისპირება ჩვენს ერში. არა მტერთან ბრძოლა, არამედ ერთმანეთში ქიშპობა. მაშინ დაშვებული შეცდომის შედეგებს დღემდე ვიმკით. ერთმანეთის ლანძღვა-გინების, ცემა-ტყეპისა და სიძულვილის ადგილად ვაქციეთ იქაურობა.

70-წლიანმა საბჭოთა ბატონობამ, ბოლშევიკურმა დიქტატურამ, გარკვეულწილად, დააზიანა ის სულიერი კავშირი, რაც ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველ ხალხსა და უფალს შორის არსებობდა. ამის გამოძახილი იყო, რომ ხალხი იმ ვითარებაში ე.წ. ლიდერებს აჰყვა და არა — უფლის ნებას. თუმცა, ის ხალხი — ჩვენი ძმები, დები, მშობლები და შვილები, ვინც 1989 წლის 9 აპრილს გამთენიისას რუსთაველზე შეიკრიბნენ სამშობლოს თავისუფლების, სუვერენიტეტის, თვითმყოფადობის, ერთიანობის დასაცავად, გულანთებული და თავგანწირული ადამიანები იყვნენ. აკი, გაწირეს კიდეც თავი ჩვენმა სახელოვანმა გოგოებმა, არ შეუშინდნენ მტერს, არ შედრკნენ, არ გაეცალნენ ბრძოლის ველს, ზოგიერთი ლიდერივით განსაცდელში არ მიატოვეს ძმები, მამები, შვილები, მეუღლეები და საკუთარი ხალხი.

იქ, სადაც ჩვენმა შვილებმა სიცოცხლე საქართველოს დამოუკიდებლობას შესწირეს, „ნაცებმა“ ალქაჯების შაბაში გამართეს...

ამ სულისკვეთების წინააღმდეგ არის მიმართული 2023 წლის 9 აპრილის ალქაჯების შაბაში, რაც ნაცებმა მოაწყვეს! ბატონებისადმი ყმობის, ვასალების, დაფინანსებული ერთგულების გამოსახატავად(!) ზუსტად იქ, სადაც ჩვენმა შვილებმა საკუთარი სიცოცხლე საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს, თვითმყოფადობას, ღირსებას, მამულს, ენას, სარწმუნოებას, ჩვენს ბედნიერ მომავალს შესწირეს. იმედია, მოვა დრო, როდესაც ქართველი ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, სათანადოდ გაიაზრებენ უახლოეს წარსულს, აწმყოს და, რაც მთავარია, ჩვენს მომავალს და გუშინდელ და დღევანდელ კერპებს, შესაფერის ადგილს მიუჩენენ.

1989 წლის 9 აპრილს იქ შეკრებილი ახალგაზრდობის, სტუდენტების, მოსწავლეების გულისწადილი ეროვნული ღირებულებების დაცვა იყო, ხოლო იმდროინდელი ბოლშევიკურ-კომკავშირული პროპაგანდა, (რომელთა აპოლოგეტები და წევრ-შემსრულებლები დღეს ეროვნულ მანტიებს ირგებენ და ერთად დგომისკენ მოგვიწოდებენ, როგორც იმ 9 აპრილს, როდესაც თვითონ როდიონოვის მხარეს იდგნენ(!)), იმ დღეებში ტელევიზიით ახალგაზრდებს ექსტრემიზმში, ანტისაბჭოთა, ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებაში სდებდნენ ბრალს! დღეს უკვე ეს ფსევდომედასავლეთეები იმავე სულისკვეთებით და პერსონაჟებით, გარყვნილი პროპაგანდის მეშვეობით ცდილობენ, დღევანდელი ახალგაზრდობა, სტუდენტები და მოსწავლეები, კომკავშირელი პავლიკა მოროზოვის დარად, უკვე ფსევდოლიბერალურ გზას გაუყენონ და რეალურ ექსტრემიზმს და ტერორიზმს უქადაგებენ და თან გმირებად ასაღებენ!

სოკოებივით მომრავლებული „ფრანკლინის კლუბები“, „სოროსის ფონდი“, „აირაი“, „ენდიაი“, რომელთა კრებსითი სახელი ლეგიონია 30 წლის განმავლობაში, საქართველოში შემოტანილი ბნელი ფულით, მამის უკანალში დამჭრელ, ცეცხლისმფრქვეველ, დამარბეველ, ცნობიერებადაკარგულ, კლუბური ნარკოტიკებით ნასაზრდოებ, რეზინის ეკლესიებში მათი შარვალჩახდილი მქადაგებლების მიერ ევრომებრძოლებად გამოყვანილ, „შვილების თაობად“ შერაცხილ, თავიანთთვის საზარბაზნე ხორცად მოაზრებულ ახალგაზრდა თაობებს ზრდიან, რომლებიც საკუთარ ძმებს, მამებს, შვილებს, ქართველ პოლიციელებს, ცოცხლად დასაწვავად იმეტებენ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ოჯახების ერთგული და თავდადებული დამცველები არიან. „შვილების თაობამ“ წესიერი, პატიოსანი კაცები ცოცხლად დასაწვავად გაიმეტა, მერე ფიროსმანის გამოფენა და რუსთაველის თეატრი დაარბიეს, არ დაინდეს არც ქაშუეთი და არც სხვა რამ, რაც გზად შეხვდათ. აი, ეს არის როკვა-როკვით ევროპისკენ მიმავალი „შვილების თაობა“! გმირები! ევროს ატლანტები!

— 2021 წლის 9 აპრილს უცნობმა ხალხი სწორედ იმ იდეით, რასაც 1989 წლის 9 პრილს ადამიანები შეეწირნენ, ქუჩაში გამოიყვანა. რას ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობა?

— საქართველოს დამოუკიდებლობა რასაც ნიშნავს, ეს ჩვენს მატიანეშია ასახული. საქართველოს ისტორია, ფარნავაზ მეფით დაწყებული, დემეტრე თავდადებულით, გიორგი ბრწყინვალით, ლაშა-გიორგით, დავით აღმაშენებელით, თამარ მეფითა და ერეკლე მეფით დამთავრებული, სწორედ დამოუკიდებლობისთვის, სუვერენიტეტისთვის ბრძოლაა, რასაც არავითარ შემთხვევაში აღარ დავთმობთ. ამის იმედი ნურავის ექნება, ნურც გარე და ნურც შიდა მტერს. ყველას თავის ადგილს მივუჩენთ. ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი დღეს საკუთარ აზრს წივილ-კივილით რომ არ გამოხატავს, არ ნიშნავს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, თავის აზრს ძალიან მკაფიოდ არ დაადასტურებს... გონიერ ხალხს, ამ ქვეყნის ერთგულ და მოსიყვარულე ადამიანებს, ესმით, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოში მშვიდობა! და ის, რომ განვითარება, წინსვლა, ეკონომიკური მდგრადობა, შვილების კეთილი მომავალი, მშვიდობას ეფუძნება.

უცხოელი ჯადო-ბებიების მიერ წაქეზებული ეს ჭინკები და ალქაჯები, რომლებიც ცეცხლის გარშემო დახტიან, დღეს საზოგადოების სახედ წარმოჩენას იმ საროსკიპოებიდან ცდილობენ, თავად რომ მედიას ეძახიან. ისინი ისევ იმ საქაჯეთში დარჩებიან, სადაც მათი ადგილია უკუნითი უკუნისამდე.

— ბატონო გოგა, საქართველოს ბედი ხან ისპანეთში წყდებოდა, ხან მოსკოვში... ახლა, ბრიუსელსა და ვაშინგტონში წყდება. ხშირად მესმის: ბრიუსელი პარტნიორის პოზიციიდან, ხოლო რუსეთი — ბატონის პოზიციიდან გვკარნახობდაო. თქვენი აზრით, რა განსხვავებაა მათ შორის?

— დღესდღეობით ბიუროკრატიულ, გარყვნილ და გადაგვარებულ პოლიტელიტარულ ფსევდოდასავლეთსა და რუსეთს შორის არავითარი განსხვავება არ ჩანს, რადგან ბატონი ყველგან ბატონია, რა ნიღაბსაც უნდა ირგებდეს. ყველამ უნდა გაიგოს, რომ საქართ-

ველო უბატონო ქვეყანაა. ამიტომ რუსეთი იქნება ეს, ბრიუსელი თუ ვაშინგტონი, აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა, ჩვენ ყმობას არ ვაპირებთ! მორჩა კინო! ყველამ თავის საქმეს მიხედოს. სხვათა შორის, ბრიუსელში 1959 წლამდე ადამიანების ზოოპარკი არსებობდა, სადაც აფრიკიდან ჩამოყვანილი ადამიანები გალიებში ჰყავდათ გამომწყვდეული. დღეს ევროპარლამენტში დეპუტატების სკამებზე წამომსხდარი ბატონები და ქალბატონები ბავშვობაში მშობლებს სწორედ ამ ზოოპარკში დაჰყავდათ. ამიტომ ბრიუსელის მხრიდან ჩვენთვის ჰუმანიზმსა და ღირებულებებზე საუბარი, ვფიქრობ, უხერხულია, თავხედობაზე რომ არაფერი ვთქვათ. აშშ-ში 1960 წლამდე ზანგებს თეთრები ადამიანებად არ თვლიდნენ. რეი ჩარლზს, მაგალითად, თეთრი ამერიკა, როგორც თანასწორ ადამიანს, არ ეპყრობოდა. ამას შემდგომში მან სიმღერაც კი მიუძღვნა. ხოლო ამერიკის კონტინენტის ძირძველი მოსახლეობის, ინდიელების უმრავლესობა, იანკებმა დახოცეს, როგორც არასრულყოფილი ადამიანები, გადარჩენილები კი გეტოებში შეყარეს და დღემდე იქ ცხოვრობენ. ამიტომ ისინი ვერც მორალს, ვერც სამართალს და ვერც ღირებულებებს ჩვენ ვერ გვასწავლიან. ეს გუშინწინდელი დღის წესრიგია. დემოკრატიის ხუხულა თავზე დაენგრათ. მხოლოდ მითი დარჩა. სჯობს, თავიანთ ქვეყნებს, ამოყირავებულ მსოფლმხედველობას და გამრუდებულ მორალს მიხედონ. ასე ემართებათ დეგრადირებულ და კორუფციაში ჩაფლულ საზოგადოებებს ყველა ეპოქაში, დღევანდელ დღეს ლობიზმად რომ ასაღებენ.

ორიოდე დღის წინათ, ბატონმა, კინაღამ ამხანაგმა-მეთქი, წამომცდა, ბლინკენმა, ოთხ ქართველ მოსამართლეს კორუფციაში დასდო ბრალი და სანქციები დაუწესა. კორუფცია საკუთარ წიაღში, პირველ რიგში, პრეზიდენტ ბაიდენის შვილთან მოიკითხოს, მერე ევროს პარლამენტარებს, მოკავშირეებსა და მეკავშირეებსაც გადახედოს. რატომ ბედავენ ამას? იმიტომ, რომ ასე ჰგონიათ ვასალები ვართ, ფულს გადმოგვიგდებენ და გვეტყვიან: ახლა ჩოქბჯენში ჩასკუპდით, რასაც გეტყვით, ისეა და მორჩაო! ერთი ქართული გამოთქმა არსებობს, ელჩებს უყვართ ეთნოგრაფია, ჰოდა გავუმხელ: „ყველამ თავის ბოზ მამიდას მიხედოს“-ო, იტყვიან. ჩვენ ჩვენებს მივხედავთ, არ გვაკლია არც ჩვენ, იმათ თავისებს მიხედონ.

ასეთ მძიმე ბრალდებას რომ აჟღერებ, კეთილი ინებე და დაასაბუთე! ვინც გინდა იყავი, გინდა, სახელმწიფო მდივანი და გინდა — პირველი მდივანი. უნდათ, რომ მსოფლიო ასპარეზზე დაკარგული დიდების ბოღმა ჩვენზე გადმოანთხიონ. პატარები ვართ, სუსტები, მათ ჯანი ჰყოფნით კიდეც, ასე ჰგონიათ. დამთავრდა ეს თემა! აღარ გვაინტერესებს. მოსკოვი იქნება, ვაშინგტონი, ნატო თუ ბრიუსელი, ჭაობში დგანან აქეთაც და იქითაც. ნახეთ, რა ქნა რუსეთმა? არმაგედონი მოუწყო საკუთარ თავს, ვითომ უკრაინას ანადგურებს! სინამდვილეში, უკრაინელები და რუსები, ერთი ფესვიდან ამოსული ხალხებია. აიღეთ, გინდა ერში, გინდა ჯარში, გინდა მთავრობებში, სად მთავრდება რუსი და სად იწყება უკრაინელი და პირიქით, აბა, ვინ გაარკვევს. დანილოვი აცხადებს, რუსეთი უნდა აღიგავოს პირისგან მიწისა და მატვიენკო კი იგივეს უკრაინაზე ამბობს! აბა, მეტი სიგიჟე გაგიგია?! გაჟლიტეს ერთმანეთი და საკუთარი თავიც მიაყოლეს! აშშ და ნატო თავიანთ იმპერიულ ვნებებს უკრაინელ ხალხს სწირავენ! თავიანთი ჭკუით რუსეთს ასუსტებენ! უკრაინა წყალსაც წაუღია, საბრძოლო ტერიტორიაა და სხვა არაფერიო. სამარცხვინო დამოკიდებულებაა. ჩვენც ასე განგვიხილავენ თავიანთ სტრატეგიებში. მხოლოდ ერთი არ ესმით: ამ ბეცებს, ქართველები, მათგან განსხვავებით, კიდობანში ვართ. ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ. მადლობა ღმერთს, ორი ათასი წლის განმავლობაში ის მთავარი შევინარჩუნეთ, რაც ჩვენს ერს გადაარჩენს. ესაა ღმერთის რწმენა. სანამ უფლის ერთგულნი ვიქნებით, ვერავინ მოგვერევა.

კელი დეგნანს, სახელმწიფოებრივი ღირსებისგან დაცლილ ამ ადამიანს, იმედის ეთერში ვუსმენდი და მის მაგივრად მცხვენოდა. აშშ-ს, მსოფლიოს ბატონობის ამბიციით და საკუთარი დიდების განცდით აღვსილი სახელმწიფოს წარმომადგენელი, ვერცერთ კითხვას პასუხს რომ ვერ გასცემს და მასხრად აიგდებს თავს, არ რცხვენია, ნეტა, ანდა არავინ ეუბნება, რა დღეში იგდებს თავს და ქვეყნის პრესტიჟს. თუ ჰგონია, რომ თავისი ალქაჯები — სამადაშვილი, ნაცვლიშვილი, კორძაია, სამნიძე, დეკანოიძე, კიკუ ვაშაძე, ხაბეიშვილი, ჩარკვიანი ტაშს რომ დაუკრავენ და შალახოს დაუვლიან ქუჩაში, მათი დუჟმომდგარი ერთგულება გადაფარავს დაკისრებული მისიის სრულ ფიასკოს!..

— დეგნანი ახსენეთ. დემოკრატიის მექად შერაცხილმა ქვეყნის ელჩმა ისე ისაუბრა ქართველი მოსამართლეების კორუმპირებულობაზე, რომ ვერცერთი მტკიცებულება ვერ დადო. წამდაუწუმ მხოლოდ იმას გვახსენებდა: ამერიკა გეხმარებათ, დოლარებს გაძლევთ ქვეყნის ასაშენებლადო. უნებურად, ორმოში ჩავარდნილი კაცის იგავი გამახსენდა...

— ჩვენ არასდროს დაგვავიწყდება, რა სიკეთე მოუტანა ქართველებს ამერიკელმა ხალხმა ყველაზე დიდი გაჭირვების ჟამს, როდესაც საბჭოთა კავშირის ჭაობიდან ახალი ამოსულები ვიყავით, მაშინ ამერიკელმა ხალხმა დახმარების ხელი გამოგვიწოდა. ამას არასდროს დავივიწყებთ. კელი დეგნანს, იან კელის, კრემერს, კინზინგერს და სხვებს, ამერიკელი ხალხის სიკეთესთან არასდროს გავაიგივებთ. დღეს, რბილად რომ ვთქვა, აშშ-ის სათავეშიც გაუგებრობა სუფევს. თითქმის მთელმა მსოფლიომ ზურგი შეაქცია. ის მადლი დაკარგეს, რაც მათი ქვეყნის პატივისცემის, თავის დროზე ამერიკული დემოკრატიისკენ ლტოლვის საფუძველი იყო. ეს მითად, წარსულის აჩრდილად იქცა. ამერიკელ ხალხთან, რომლის სითბო, სიყვარული, თავდადება და გამოწვდილი ხელი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, ჩვენ მეგობრობას კვლავ განვაგრძობთ და მუდამ მისი მადლიერი ვიქნებით. თუმცა ეს არ ეხება ბიუროკრატიას, რომელმაც სახე დაკარგა, ჩვენს ქვეყანაშიც და სხვაგანაც. ნურც ევროპას გავაიგივებთ იმ გარყვნილ ევროს კავშირთან, დეგრადირებულ პარლამენტარებთან, კორუფციაში ჩაფლულ მარგინალებთან, სადაც მორიგი სკანდალი მწიფდება 30 მილიარდზე. კერძოდ, EPP-ს შტაბბინაში, ბრიუსელში ჩხრეკა ტარდება, სადაც ბელგიისა და გერმანიის პოლიცია ერთდროულად შევიდა და სადაც, არა მგონია, ჩუპა-ჩუპსებს ეძებდნენ. ჩვენი სახლი, რა თქმა უნდა, არის ევროპა. ოღონდ არა პედრო არგამუნდის, კუბილიუსის, თავხედი კრამონისა და უზრდელი ფოტიგასი! ჩვენი ადგილი სერვანტესის, გოეთეს, მოლიერის და პაგანინის ევროპაშია, რომლის ღირებულებების ბაირაღი უკვე ორი ათასი წელია, ქართველებს ღირსეულად ხელთ უპყრიათ. თუკი ვინმე არის დღევანდელი ევროპის დამფუძნებელი, ეს ჩვენ ვართ, ქართველები. ევროპა არ არის ჩვენი დამფუძნებელი. ჩვენი დამფუძნებელი იაფეტია, ბიბლიური ნოეს შვილი. აქ, კავკასიაში დაფუძნდა ევროპა. აქ ჩაყარა ვაზი ნოემ და ჩვენ მას მერე ვახარებთ. ღვინოც ნოემ გვიანდერძა და არ ვღალატობთ ჩვენი მამამთავარის ამ დანატოვარ ტრადიციას. ასე რომ, ჩვენ ამ გზას როგორც ევროპელი ხალხი, ღირსეულად გავაგრძელებთ, ოღონდ ამ აღვირახსნილობის, გარყვნილების, კორუფციის ნალექის, ფარისევლობის ქაფის გარეშე, რომელიც ევროსბიუროკრატიამ თავზე დაიყენა და ფეხებიც შიგ ჩაჰყო. სასაცილოა, როცა კორუფციაზე ბლინკენი ჩვენ გვესაუბრება. მგონი, სულ დაკარგეს გასაღები. კეთილი ინებონ და ერთი დამადასტურებელი ფაქტი მაინც დადონ. მურუსიძის სიყვარულს მე ვერავინ დამაბრალებს, თუმცა, როგორც საქართველოს მოქალაქე, შეურაცხყოფილი ვარ! ამდენი წელი გავიდა მას მერე, სრტასბურგი, ჰააგა, ამერიკა, ევროპა, ბურთი და მოედანი, ყველაფერი მათ ხელშია. ახლა გაახსენდათ ქართველ მოსამართლეებზე სანქციების დაწესება?! მეორე ფრონტზე უარი რომ მიიღეს! გამოეძიათ, ვინ უშლიდათ ხელს?! ერთი საბუთი დადონ დამამტკიცებელი, რომ ქართველი მოსამართლეები მექრთამეები, კორუფციონერები არიან, ჩვენც რომ დავრწმუნდეთ. ბლინკენიდან დაწყებული, კელი დეგნანით დამთავრებული, ყველას პასუხი მოეთხოვება, ეგრე სად არი, მე ვთქვი და თქვენ თავი იმართლეთო. ეს ბოლშევიკური მენტალობაა, რაც უკვე გავლილი გვაქვს. გინდ ბაიდენი იყოს, გინდ პელოსი და გინდა სალოსი, სიმართლე ყველგან სიმართლეა და ცილისწამება — ყველგან ცილისწამება!

დემოკრატია და მართლმსაჯულება საკუთარ ქვეყანაში დაანგრიეს, ერთსა და იმავე საქმეზე, ერთ შტატში პორნოვარსკვლავს ამტყუნებენ, მეორეში — პრეზიდენტს. ჯერ ერთმანეთში შეთანხმდნენ და გაარკვიონ, რა არის კეთილსინდისიერი მართლმსაჯულება და სხვას ჭკუა მერე ასწავლონ. მთელი მსოფლიო უყურებს, რა დღეშია ამერიკა. თვითონ არ ითხოვენ ყველასგან გამჭირვალობას?! ჰოდა ჰა ბურთი და ჰა მოედანი, ჯერ თვითონ გამჭირვალდნენ!

— შარშანწინ, უცნობმა 9 აპრილს ხალხის შეკრებაზე თქვა, რომ ეს თარიღი საქართველოს მარადისობის, ქართველი ხალხის დღედ უნდა დაწესდეს. რას ფიქრობთ ამ ინიციატივაზე?

— მარადისობა ღმერთმა დაგაწესა. საქართველო დედა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და დედა ღვთისმშობელივით მარადიული. ასე ინება უფალმა. იმ დროიდან მოდის ეს, როდესაც საქართველოში უფლის კვართი ჩამობრძანდა. ჩვენ უფლის ერთგული ერი ვართ. ჩვენი მარადისობა სწორედ იქიდან მოდის და არა დღევანდელი დღიდან.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ლევან მამალაძე, სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი: 1989 წლის 9 აპრილი ერთდროულად სიამაყის დღეც არის და ტრაგიკულიც. იმ დროს სტუდენტი ვიყავი და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ვმონაწილეობდი. ამ დღეს გამოვლენილმა ჩვენი ხალხის თავგანწირვამ საბჭოთა რეჟიმის განადგურებაში დიდი როლი ითამაშა. შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობისთვის ჩვენმა უკომპრომისო ბრძოლამ ბიძგი მისცა სხვა ერებსაც, რათა მსგავსი პროცესები დაეწყოთ, რასაც ბალტიისპირეთისა და კავკასიის რესპუბლიკების გააქტიურებაც მოჰყვა. მაშინ ყველა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოდით. ახლა გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს, ამ თარიღის მითვისება უნდათ, რაც სამარცხვინოდ მიმაჩნია. თუკი ვინმემ 9 აპრილს ღონისძიება უნდა ჩაატაროს, ეს ხელისუფლება უნდა იყოს. **ხელისუფლების ინიციატივით, 9 აპრილი სრულიად ქართველი ერის ერთობის დღედ უნდა იქცეს, რადგან სწორედ ამ დღემ მოგვიტანა სუვერენიტეტი,** რომლისთვის ბრძოლა დღესაც გვიწევს. ქვეყანაში ახალი ტალღა უნდა შეიქმნას, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს გააძლიერებს და აპრილის ეს დღე, როგორც თავისუფლების სიმბოლო, სწორად იქნება შეფასებული.

პეტრე მამრაძე, პოლიტოლოგი: სიმართლე მწარეა, მაგრამ უნდა ითქვას. 34 წლის წინათ 9 აპრილს ხალხმა უწმიდესს არ დაუჯერა, რომელიც მათ ქაშვეთში სალოცავად გადასვლას სთხოვდა. სამაგიეროდ, დაუჯერეს „ეროვნული მოძრაობის" ლიდერებს — არ უნდა დავიშალოთო. ეს ხალხი მაშინ თავისუფლების იდეით იყო განმსჭვალული. ისინი მზად იყვნენ, ამ იდეისთვის მსხვერპლიც კი გაეღოთ. მაშინაც, ეროვნული მოძრაობის ე.წ. ლიდერების დიდი ნაწილი ერთმანეთთან მწვავე კონკურენციაში იყო და უფრო პოლიტიკურ კარიერაზე, მომავალზე ფიქრობდნენ და არა ეროვნულ საქმეზე. ამიტომ შემზარავი შედეგი მივიღეთ — თვრამეტი ქალბატონი და ორი მამაკაცი დაიღუპა, რომლებიც ქალებს და ბავშვებს იცავდნენ. ხოლო ეროვნული მოძრაობის ე.წ. ლიდერებს არანაირი ტრავმაც კი არ მიუღიათ, მსხვერპლის გაღებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაშინვე ყველა ადგილიდან აორთქლდნენ. 34 წლის შემდეგ რას ვხედავთ? 9 აპრილს აქციის ორგანიზატორები არიან სააკაშვილის თანამზრახველები და სრულიად დეგრადირებული ნაცების ნომინალური თავმჯდომარე „ქურქულუმ ვაითი". **ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც დამოუკიდებლობის აქტის დედანი არ გააჩნია. 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, მაგრამ დოკუმენტის დედანი დაკარგულია.** ეს სიმბოლურია. 9 აპრილი ის დღეა, როცა ყველა იმ ადამიანს, რომელიც მაშინ გულანთებული მოქმედებდა, სჯეროდა თავისუფლების და უკეთესი მომავლის, დიდი პატივი უნდა მივაგოთ. ბევრ მათგანს კოშმარულ სიზმარშიც არ დაესიზმრებოდა, თუ რა ელოდა საქართველოს მომდევნო წლებში, არც ის მდგომარეობა, სააკაშვილის მოყვანილი რუსის ტანკები დედაქალაქიდან 30 კილომეტრში რომ დგანან.

ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასის" დამფუძნებელი: 1989 წლის 9 აპრილის სულისკვეთების, რწმენის, ვაჟკაცობის შედარება დღევანდელ სიტუაციასთან არც კი შეიძლება. 2023 წლის აქცია საზოგადოების ნაწილის უიმედო დეგრადაციას გამოხატავდა. ეს ეროვნული სისუსტეა. ასეთი რამ ყველა ეპოქაში იყო. ხაბეიშვილი კოლექტიური მოვლენაა. იგი ჩვეულებრივი მედროვე, გამყიდველია. რომელ ეპოქაში გვაკლდა ასეთი გამყიდველები ან მეძავები?! უბრალოდ, მაშინ იმას ვერ ბედავდნენ, რასაც ახლა ეს აღვირახსნილები აკეთებენ. 1989 წლის 9 აპრილსა და დღევანდელს შორის სულისშემძვრელი, ამავდროულად, დამამწუხრებელი, სევდისმომგვრელი კონტრასტია.



მერაბ შათირიშვილი, მწერალი: დღევანდელ და 1989 წლის 9 აპრილს შორის, სადაც ეროვნული ღირებულებების დაცვა ერის მთავარი სატკივარი იყო, პარალელის გავლებაც კი უხერხულია. მაშინდელი 9 აპრილი დამოუკიდებლობის იდეით იყო განმსჭვალული. მართალია, ეს ტრაგიკული დღეც არის, რადგან სისხლი დაიღვარა, მაგრამ ნათლად გამოჩნდა, ერი რისთვის იბრძოდა. გარე, შავბნელი ძალებისგან დაფინანსებულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა, ამ დღის გაუფასურება სცადეს, იმის გაუფასურება, რამაც დღემდე მოგვიყვანა, ერს აპოვნინა იმისი ძალა, რომ დამოუკიდებლობა, თავისუფლება მოეპოვებინა და ამისთვის სისხლიც გაეღო. შინაურ მტრებს უნდათ, 9 აპრილის მნიშვნელობა დააკნინონ, მაგრამ არაფერი გამოუვათ.

ზაზა შათირიშვილი, ფილოსოფოსი: 1989 წლის 9 აპრილი ჩვენს ისტორიაში შევიდა, როგორც გარდატეხის, ბედისწერის დღე. ანუ, როცა სიტყვა „საბედისწეროს" მნიშვნელობა ასე შეიძლება გავიგოთ: მოდის რაღაც ისეთი, რასაც ვერ შეაჩერებ და ეს დამოკიდებული არ არის ადამიანის ნებაზე. ამიტომაც „საბედისწეროს" მოსდევს ცნება — ტრაგიკული. ამ გაგებით, 9 აპრილი ტრაგიკული დღეა არა იმ თვალსაზრისით, თითქოს რაღაც ცუდი, კატასტროფული მოხდა, არამედ ტრაგიკული, როგორც საბედისწერო ქარტეხილი, მოვლენა, რომელსაც ბედისწერის ქალღმერთები ქსოვენ. რაც შეეხება დღევანდელ 9 აპრილს, კარლ მარქსს დავესესხები: ისტორია მეორდება ჯერ ტრაგედიად, მერე კი ფარსის სახით. **დღეს რაც ხდება, 9 აპრილის გამეორების იმიტაციაა, რაც ყოველთვის გროტესკით დამთავრდება.**

ნანა კაკაბაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე: სამარცხვინოა ეს ყველაფერი. მათ, უბრალოდ, ეს დღე წაბილწეს. 1989 წლის 9 აპრილი იყო დღე, როდესაც ჰაერში დამოუკიდებლობის სუნი ტრიალებდა. ამ დღეს ყველაზე მეტად იგრძნობოდა ეროვნული მუხტი, ქვეყანა, ერი ერთიანი იყო. ხალხი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. დღევანდელი აქცია რას ემსახურებოდა? — საქართველოს დანგრევის, დამონებისთვის მებრძოლები შეიკრიბნენ იმ ადგილზე, სადაც დამოუკიდებლობის იდეას ახალგაზრდები შეეწირნენ. ახლა კი იმ ადამიანის გათავისუფლებას ითხოვდნენ, ვინც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია. ეს შემზარავია. სხვა რა სიტყვა ვუწოდო იმას, რომ 9 აპრილს კრიმინალების გათავისუფლებას ითხოვდნენ! ეს სამარცხვინო ადამიანების სამარცხვინო აქციაა. აქეთ ითხოვენ, გათავისუფლდეს ადამიანი, რომელმაც პოლიციის მანქანა დაწვა. ეს აქცია არეულობის, დესტაბილიზაციის წახალისებისა და მეორე ფრონტის გახსნის ხელშეწყობისთვის გაიმართა.

მოამზადა
თამარ შველიძე

ჩვენი „დაუძინებელი მეგობარი“ მუდამ ასეთი იყო!



ასე რამ გადარია ეს ჩვენი „დაუძინებელი მეგობარი“ აშშ?

ვიფიქრე, „იმედზე“ კელი დეიდა მაინც იტყვის რაიმე კუდიანურს, რა დაინახა ამერიკულ ჯადოსნურ სარკეში-მეთქი, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ! გადაცემის წამყვანმა ვერაფრით დააცდენინა, რა დააშავეს ქართველმა მოსამართლეებმა, საიდან დაასკვნა აშშ-ის სახდეპმა, კორუმპირებულები რომ არიან (ერთი მათგანი, თურმე, სულაც 6 წელია, რაც აღარ არის მოსამართლე!) — მტკიცებულების არარსებობის გამო კითხვას თავი აარიდა! სადღაც ისღა ჩააკვეხა დამაჯერებლად, ეს მოსამართლეები (სანქცირებული), ღამღამობით ზარებს ახორციელებდენო. კი, განახორციელებდნენ და თუ დილიხორზეც იქნებოდნენ, „განდაგანასაც“ ჩამოუვლიდნენ, მაგრამ ამ ჩვენის კუდიანმა რა იცის, აშშ-ის საელჩო მისთვის საინტერესო პირებს უკანონოდ უსმენს?

კელი დეიდაზე, ანუ აშშ-ზე ფიქრებში ვიყავი გართული, ჩემი მეზობელი ერვანდა რომ დამადგა:

— ზურაჯან, რას ჩაფიქრებულხარ, ცავატანემ?

— ამ ვირიშვილ აშშ-ზე ვფიქრობ.,

— მოდი, ერთად ვიფიქროთ, — შემომთავაზა ერვანდამ.

მოკლედ მოვახსენე და აშალა ფაფრები. ისედაც ძალიან ნაწყენია თავის რომელიღაც წინაპარზე, რომელიც აშშ-ში ცხოვრობდა შეძლებულად და გარდაცვალების შემდეგ ცენტი არ დაუტოვა ამას.

„სლუში, ზურაჯან! ეგ ამერიკელები სულ უჯიგრო გოთვერნები არიან. ტო, ჩემი „პრედკები“, იცი, როგორ მოხვდნენ იქა? — „ვტაროი მირავიოს“ მერე, „ჩერეზ კიტაი.“ ჯარში იყო ჩემი ბიძაშვილი, მეორე — სამშენებლო რაღაცაში. სხვადასხვა ადგილზე იყვნენ, მაგრამ ვა, უცბად ამერიკაში არ ამოჰყვეს თავი. მე მაშინ მამაჩემში ვიყავი, მაგრამ რო დავიბადე, ხო მესმოდა, სულ იმათ ამბებს კითხულობდნენ და ტო, სულ ამერიკა და ამერიკის ომი მესმოდა. რათა?

რა უნდა მეთქვა, მოკლედ მოვუჭერი, დემოკრატიას ამყარებდნენ და სახლში უვარდებოდნენ-მეთქი. სადაო? ჩამოვუთვალე: ჩინეთი, კორეა, გვატემალა, ინდონეზია, კუბა, კონგო, პერუ, ლაოსი, ვიეტნამი, კამბოჯა, გრენადა, ლიბანი, ლიბია, სალვადორი, ნიკარაგუა, პანამა, ერაყი, სუდანი, ავღანეთი, იუგოსლავია...

— მაიცა, მანდ ყველგან დემოკრატიაა? — ჩამეძია ერვანდა.

არა-მეთქი.

— იასნია... ვა, აბა, ატკუდა ტაკოი ლუბოვ კ უკრაინე? — ცერად გავხედე, — ახლა ამას აუხსენი, „ატკუდა“, მაგრამ მაინც გავაბით ბაასი „ახტამარის“ გავლენის ქვეშ.

აშშ-ის ელჩი, ცხადია, აშშ-ის სახელით, ზის და უნამუსოდ გველაპარაკება ქართულ სასამართლოზე იმ დროს, როცა ოფიციალურ მეძავთან 17 წლის წინანდელი სექსუალური კავშირის გამო აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტსა და ამჟამად პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატს ედავება; იმ დროს, როცა ავსტრალიის მოქალაქე ჯულიან ასანჟი დაპატიმრებული ჰყავს და 175-წლიანი პატიმრობა ემუქრება. ამ კაცს იმას ედავებიან, რატომ გამოაქვეყნე ვიდეომასალა, სადაც ასახულია, როგორ ხოცავენ ამერიკელი სამხედროები მშვიდობიან მოსახლეობას ბავშვების ჩათვლითო. ვინ დაისაჯა ამის გამო — ერთი ვიღაც ოფიცერი, ისიც შინაპატიმრობით და ერთ წელში „გაათავისუფლეს“. ამიტომაც მიაძახა უზენაესი სასამართლოს მოქმედმა მოსამართლემ, **ვლადიმერ კაკაბაძემ** ენტონი ბლინკენს: დიდი ხანია გასული, რაც ვიეტნამში ქალებს და ბავშვებს ქიმიური იარაღით აღარ წამლავთ, ბატონო ბლინკენო-ო.

გამომდგარა ეს ვიგინდა რა კუდიანი და საქართველოს ისტორიას გვახსენებს, თითქოს რამე გაეგებოდეს, იმას კი ვერ იხსენებს, როგორ მოკლეს ადამიანები კაპიტოლიუმში და არჩევნების შედეგების როგორი გაყალბებით მოვიდა ბაიდენის ხელისუფლება; აბუ გრეიბის შემქმნელები სამართალს უწუნებენ საქართველოს, რადგან სურთ, რომ მიხეილ დედააფეთქებული კვლავ საქართველოს „გამგებელი“ იყოს.

რამ გადარია საქართველოს „დაუძინებელი მეგობარი“ აშშ? „მეორე ფრონტი“ უნდა საქართველოში, ისევ ის „გულავი“ უნდა რაც ჰქონდა...

„აშშ არ გვცნობს, როგორც სახელმწიფოს! ისინი არ ცნობენ ჩვენს სახელმწიფოებრიობას“, — თქვა ბატონმა ირაკლი კობახიძემ.

კაი, კაცო! ასე მოკლედ და მშრალად?

თუმცა, ამდენის გაბედვაც საქმეა. აშშ არც არასდროს ცნობდა საქართველოს სახელმწიფოდ, უბრალოდ, „ნაცმოს“ მოკავშირეები იყვნენ როგორც ხელის მოთბობაში, ისე ხოცვა-წამებაში. ამ ორი სუბიექტისთვის საერთო მენტალური კავშირია: ძალადობა და ფული! სისხლი და ფული!

როგორცკი საქართველომ ქვეყნისთვის სასარგებლო და აუცილებელი დამოუკიდებელი სვლები დაიწყო: დამოუკიდებელი ენერგეტიკული კორიდორების შექმნა და ათვისება; ალტერნატიული ეკონომიკური საფუძვლის გამყარება დამოუკიდებლად; სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცება და როგორც კი ხმამაღლა განაცხადა, რომ საკუთარ მომავალს დაიცავს, იმ წუთიდან დაიწყო და რა დაიწყო — **აშშ-მ მხოლოდ ნიღაბი კი არ მოისროლა სახიდან, ტანზეც შემოიხია, სრულად გაშიშვლდა და იერიში მიიტანა საქართველოს ხელისუფლებასა და ქვეყნის ყველა ინსტიტუციაზე**...

„სირცხვილია, რომ ახლა საქართველო ეძებს სათავისო სარგებელს და უკრაინაში ომზე ფიქრის ნაცვლად, ეკონომიკურ წინსვლაზეა გადართული,“ — დაგვანამუსა ვინმე გორდონმა. დედიმისისამ, საქართველოს ზვარაკად შევწირავთ იმ უკრაინას, 2008-ში ზელენსკის მიერ შესრულებულ სკეტჩებში რომ დაგვცინოდნენ და რუსეთის მიერ საქართველოს კიდევ ერთხელ ოკუპაცია დაგმეს კი არა, იმავე წელს ორჯერ გაზარდეს ტვირთბრუნვა რუსეთთან.

გამოქლიავებულები, ესენი!

საქართველოს გადასახადია, უკრაინა კრებსითმა ზელენსკებმა რომ გაყიდეს?

რატომ ჰგონია ვინმეს, რომ აშშ-ის მიზანი საქართველოში მხოლოდ „მეორე ფრონტის“ გახსნაა? საქართველოს ომში ჩათრევა რა ხეირია, ერთ საათში გაქრება. — ბევრად უფრო მასშტაბური ჩანაფიქრი აქვს სერიულ მკვლელს...

არ დამიწყოთ ახლა, თურქეთი მასშტაბითაც დიდია და მოსახლეობის რიცხოვნებითაცო — ღირსება არანაირი საზომით არ იზომება!

აი, ძმაო, როგორი უნდა იყოს რეაქცია, როდესაც შენი სახელმწიფოს შიდა თუ გარე საქმეებში ერევიან. **რეჯეფ თაიფ ერდოღანი: „ჩვენ გაკვეთილი უნდა ვასწავლოთ აშშ-ს, განსაკუთრებით ამ არჩევნებზე. ჯო ბაიდენი იქიდან საუბრობს, ჯო ბაიდენის ელჩი ბატონ ქემალს სტუმრობს — თქვენ ხართ ელჩი! აქ თქვენი თანამოსაუბრე არის პრეზიდენტი! ბაიდენის ელჩმა ჩვენს ქვეყანაში ყოფნისას უნდა იცოდეს, რისი უფლება აქვს და რისი — არა! მან რატომღაც წარმოიდგინა, რომ ხელმძღვანელის როლზე დავნიშნეთ იგი თურქეთში. რადგანაც ვერ ხვდება ვერც ელჩი და ვერც მისი ადმინისტრაცია, მე შევახსენებ მათ, რომ ეს თურქეთია და აქ თამაშის წესებს ვადგენთ ჩვენ და არა ოკეანის გადაღმა ქვეყანა! დედამიწის ზურგზე ვერავინ გაბედავს და იმის უფლებას არ მივცემთ, რომ თურქეთის აწმყო და მომავალი განსაზღვროს. ეს უფლება გააჩნია მხოლოდ თურქ ხალხს! ბაიდენის ელჩისთვის კი, ამიერიდან ჩვენთან მოსასვლელი ყველა კარი დაკეტილია! რატომ? თქვენს ადგილს გაიგებთ. თქვენ გეცოდინებათ თქვენი, როგორც ელჩის მოვალეობა! თქვენ გაიგებთ, როგორ მუშაობს ელჩი!“**

სხვათა შორის, ორი წლის წინათაც „განურისხდა“ ერდოღანი აშშ-ის ელჩს და მასთან ერთად ცხრა ქვეყნის ელჩებსაც, მათი ქვეყნიდან გაძევება მოითხოვა. სასწრაფოდ უკან დაიხიეს აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიის, ახალი ზელანდიის, კანადის, ნიდერლანდების, დანიის, ნორვეგიის, ფინეთისა და შვედეთის ელჩებმა. მიზეზი თურქეთის შიდა საქმეებში მათი ჩარევის მცდელობა იყო. საქმე ეხებოდა ციხეში მყოფ თურქ ბიზნესმენს, ოსმან კავალას გათავისუფლებას, რომელსაც სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობას ედავებოდნენ...

თურქეთის სახელისუფლებო ექსპერტმა ჰასან გიულიმ განაცხადა, რომ გასული წლის მარტში, თურქეთის ხელისუფლებას დახურულ შეხვედრებზე, მთელი რიგი დასავლური ქვეყნები მოუწოდებდნენ, რომ დაეწყო მომზადება და შეიარაღების მიწოდება მოხალისე მებრძოლებისთვის; ასევე, კორიდორის უზრუნველყოფა მესამე ქვეყნისთვის, სადაც უახლოეს კვირებში უნდა დაწყებულიყო ღია საომარი დაპირისპირება რუსეთთან. აღნიშნულ მოთხოვნას თურქეთის მთავრობისა და ერდოღანისგან კატეგორიული უარი მოჰყვა, ვინაიდან, მსგავსი სცენარი თურქეთის ინტერესებში არ შედიოდა.

ხსენებულ „მესამე ქვეყანაში“ საბერძნეთი, სომხეთი, ირანი ან სირია იგულისხმებოდა და არა საქართველო? ჩაივლის საპრეზიდენტო არჩევნები თურქეთში და, სავარაუდოდ, უფრო მეტ „საინტერესო“ ამბავს გავიგებთ...

— სანე ყუნე ტანემ, ბრრრრ ჭიჭკიტანემ! — აღმოხდა ერვანდას. რას ნიშნავს და რა ენაზეა, თვითონაც არ სცოდნია, მაგრამ ისე აღმოხდა, სასწრაფოდ დავეთანხმე.

რეალობაში ასეთი მოცემულობაც გვაქვს და მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ასეა: რუსეთმა მიიღო საგარეო პოლიტიკის ახალი სამოქმედო კონცეფცია, სადაც გაწერილია რუსეთის ფედერაციის მიზნები და ამოცანები მსოფლიოში მიმდინარე ფუნდამენტური ცვლილებების ფონზე. ამათგან ჩვენთვის საინტერესოა:

რუსეთის ფედერაციის უახლოესი საზღვარგარეთი (იგულისხმება სსრკ-ის საზღვრები), ამიერიდან ითვლება რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული ინტერესების ზონად;

ამ ზონაში არ იქნება არცერთი უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზა;

ამ ზონაში არსებულ ქვეყნებში აღარ მოხდება ე.წ. ფერადი რევოლუციები;

რადიკალური ლიბერალიზმი არის ხელოვნურად თავსმოხვეული, ადამიანისა და სახელმწიფოსთვის უაღრესად მავნე იდეოლოგია;

რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს რუსულ ცივილიზაციას, რომლის პრიორიტეტი არის არა გლობალიზაცია, არამედ მასში შემავალი სუბიექტების განსხვავებულობის, ანუ ტრადიციული იდენტობის შენარჩუნება. რუსეთის ფედერაცია იგივე პოლიტიკას განახორციელებს საგარეო ურთიერთობების სფეროშიც.

რუსული ცივილიზაციის ინტერესების დაცვის მიზნით, რუსეთის ფედერაციის არმიამ დედამიწის ნებისმიერ რეგიონში თავისუფლად მოქმედების მანდატი მიიღო...

— ჰა, რავარია? — დავძახე ერვანდას.

— ეგ ჰო, მაგრამ ზურაჯან, ამერიკელებმა წიგნი რათ გაჩუქეს, იმათი შპიონი შენცა ხარ? მა, თეთრი სახლის „კაგებემ“ წიგნი რათ გაჩუქა? — შემომცინა აბრჭყვიალებული თვალებით.

კი მივხვდი, რომ რაღაც აერია, მაგრამ გური ოტობაიას მოძღვნილი სქელტანიანი ჟურნალი „კირბი“ თუ ჰქონდა მხედველობაში, რას წარმოვიდგენდი? სად თეთრი სახლის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სტრატეგიული კომუნიკაციების ხელმძღვანელი ჯონ კირბი და სად კირბები და ფოლიანტები... ნწუ, მაგ ჯონის „პრადედუშკა“ მენგრელი იქნებოდა, როგორც რომ მაკრონისა, — ბეჭედი დაასვა ერვანდამ.

ამასობაში, ანკარაში მევლუთ ჩავუშოღლუ და ლავროვი ჩურჩულებენ რაღაცას, რასაც მსოფლიოს გასაგონად ორმხრივ საკითხებზე მოლაპარაკება ჰქვია უკრაინაში, სირიასა და ყარაბაღში მიმდინარე მოვლენებსა და მარცვლეულზე...

ჩვენთან ხმა გავრცელდა, ივნისში, სამუშაო ვიზიტით ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოდისო, რასაც წინ უსწრებდა ჩინეთის ელჩის განაცხადი: „ჩვენ ვცნობთ და პატივს ვცემთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. თუ საქართველო გამოიჩენს სურვილს ჩინეთის ჩართვაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანად აღდგენის საკითხში, ჩვენ მზად ვართ“.

აბა, რაღა დააძინებს საქართველოს „დაუძინებელ მეგობარს“ ასეთ თარგზე და ეტყობა კიდეც, რომ გამოუძინებელია: პუტინი გამოაცხადეს ძებნილად და ტრამპს იჭერენ; უკრაინა გაანადგურებინეს რუსეთს და ნატოში ფინეთს იღებენ; ამ დროს რუსეთი თავმჯდომარეობს გაეროს უსაფრთხოების საბჭოს...

იმედია, გადავივლით ამ სამართებლის პირსაც...

P.S. რამდენიმე დღით ადრე ვიდეო ვნახე — რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა, დიმიტრი მედვედევმა სამხედრო ინდუსტრიის მმართველ ხელმძღვანელობას სტალინის საიდუმლო დეპეშა წაუკითხა, რომელიც სამხედრო ქარხნების დირექტორებისადმი იყო გაგზავნილი. რა იქნებოდა არსი, ახსნა არ სჭირდება. წერილი მთავრდება სიტყვებით: რამდენიმე დღეში თუ აღმოჩნდება, რომ თქვენ ვერ შეასრულეთ სამშობლოს წინაშე ვალდებულებები, გაგანადგურებთ როგორც კრიმინალებს, რომლებმაც უგულებელჰყვეს სამშობლოს მიმართ პატივისცემა და მისი ინტერესები.“

როგორც ჩანს, რუსულმა დათვმა გადაწყვიტა, დემონური ლიბერასტული მმართველობის დასავლური მონოპოლიის დემონტაჟს ჩაუდგეს სათავეში და ამ საქმეში ჩინელი დრაკონიც გვერდით დაუდგა...

სულაც არ მიკვირს!

მოსკოვში, მეტრო „არბატსკაიაზე“ ბათქაში რომ ჩამოცვივდა, ლიბერასტების დაუძინებელმა მტერმა სტალინმა გადმოიხედა...

ზურა ოშხერელი

საფრანგეთში სოციალური აფეთქებაა, აშშ–ში, ხანგრძლივი პოლიტიკური ომი

დომხალი! — ასე შეიძლება შევაფასოთ მსოფლიოში დღეს არსებული ვითარება. განსვენებულ რეზო ამაშუკელს რომ დავესესხოთ: „ვისი ვიოლინო ვის როიალშია, გაუგებარია“. შესაძლოა, მავანს გადაჭარბებულად მოეჩვენოს ჩვენი შეფასება, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით სამყაროში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, შესაძლოა, ლმობიერებადაც კი მოვეჩვენოთ. თუმცა მსგავს და უფრო მკვეთრ გამონათქვამებსაც უკვე აღარ ერიდებიან მსოფლიოს წამყვანი პოლიტოლოგები, ამის საფუძველი კი მათ მართლაც აქვთ.

ერთ თვეზე მეტია, საფრანგეთის ქალაქები ცეცხლის ალშია გახვეული. ქვეყნის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი მიმდინარე მოვლენებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და არც აინტერესებს, რა ხდება მის ქვეყანაში. შეშფოთებული პოლიტოლოგების შეფასებით, „მეხუთე რესპუბლიკა სოციალური აფეთქების ზღვარზეა“. ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარების მიუხედავად, მაკრონი ჩინეთში გაემგზავრა. ოფიციალური ვიზიტის მიზანი უკრაინაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი ყოფილა. ამის გარდა, მაკრონის ძირითადი მიზანი გახლდათ, ჩინეთის მმართველი დაეყოლიებინათ, უარი ეთქვა რუსეთთან თანამშრომლობაზე და ტელეფონით დაკავშირებოდა უკრაინის პრეზიდენტს ვლადიმერ ზელენსკის.

აღმოსავლური ტრადიციებიდან გამომდინარე, მაკრონი ჩინეთში ზრდილობიანად მიიღეს. თუმცა თავად სტუმარი პოლიტიკასა და დიპლომატიაში დაშვებულ ნორმებს საკმაოდ გასცდა. სტუმრად მყოფმა მაკრონმა სცადა, ეკარნახა ჩინელებისთვის, როგორ წარმართონ საგარეო პოლიტიკა. მან სასტიკად გააკრიტიკა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ბელარუსში ტაქტიკური იარაღის განთავსების გადაწყვეტილებისთვის. ჩინელებმა საფრანგეთის პრეზიდენტს დელიკატურად მიანიშნეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროპის ექვს ქვეყანაში აქვს განთავსებული იგივე შეიარაღება. უფრო მეტიც, ჩინეთი გაღიზიანებულია ნატო-ს გაფართოებით — ფინეთის ალიანსში გაწევრიანებით. აშშ აღმოსავლეთ აზიაშიც, იაპონიაშიც, სამხრეთ კორეაშიც აპირებს ბირთვული შეიარაღების განთავსებას. ჩინელები აღნიშნულს მათ წინააღმდეგ მიმართულ მოსალოდნელ აგრესიად აფასებენ.

იშვიათი შემთხვევა მოხდა პოლიტიკაში, მაკრონმა ჩინეთში ვიზიტის დროს თანამგზავრად ევროკავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ურსულა ფონ დერ ლაიენი გაიყოლა. მიზეზად თავდაპირველად ის დაასახელეს, რომ დიალოგი საფრანგეთის და ევროკავშირის სახელითაც უნდა გამართულიყო. ენაკვიმატმა პოლიტოლოგებმა განაცხადეს, რომ მაკრონს ურსულა ძიძად გააყოლეს. ევროჩინოვნიკი მასპინძლებს, ფაქტობრივად, დაემუქრა, რუსეთისთვის იარაღის გადაცემა დანაშაულია და ამას სანქციები მოჰყვებაო. ჩინელებმა დელიკატურად, მაგრამ მკაცრად უპასუხეს, ჩვენ ჭკუის სწავლება არ გვჭირდება, ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ საერთაშორისო ასპარეზზეო.

ჩინეთში ყოფნისას მაკრონმა მჭევრმეტყველებითაც გამოიჩინა თავი. სი ძინპინთან ერთობლივ ბრიფინგზე, დამსწრე ჟურნალისტების განცხადებით, მასპინძელზე ორჯერ მეტი ილაპარაკა. ჩინეთისთვის დღემდე გაუგებარია, რა სტატუსით ჩავიდა ურსულა ფონ დერ ლაიენი ჩინეთში, რადგან მასპინძლები ევროკავშირს კეთილი თვალით არ უყურებენ. სი ძინპინი ორივე სტუმარს ერთად შეხვდა. გავრცელებულ კადრებში კარგად ჩანდა, დიდ მრგვალ მაგიდასთან სტუმარ-მასპინძელი შორიშორს რომ სხედან და არც სი ძინპინის ცივი, უკმაყოფილო გამომეტყველება დარჩენიათ ყურადღების მიღმა. ამერიკულ პრესას ევროპელების ვიზიტი ჩინეთში, ფაქტობრივად, არ გაუშუქებია. ამერიკელი და ევროპელი პოლიტოლოგები მაკრონს (არაფერს ამბობენ ურსულაზე) არათუ დიდ, საერთოდ, პოლიტიკურ მოღვაწედაც კი აღარ მიიჩნევენ. ამიტომაც დასრულდა უშედეგოდ ურსულასა და ემანუელის ჩინური ვოიაჟი. იმ რამდენიმე საქმიან კონტრაქტს, რომელიც ევროპელებმა ჩინელებთან გააფორმეს, ექსპერტები მასპინძელი მხარის სასარგებლოდ მიიჩნევენ. საფრანგეთში კვლავ გრძელდება გაფიცვები და საპროტესტო აქციები. ექსპერტების შეფასებით, პროფკავშირები ან დასახულ მიზანს მიაღწევენ, ან საფრანგეთში სოციალური აფეთქება მოხდება.

უცნაური ფაქტია, მაკრონს წარმატებად ჩაუთვალეს სი ძინპინთან ერთად ჩაის დალევა. ადრე, პრეზიდენტად არჩევისთანავე, მას სამშობლოში „მდიდრების პრეზიდენტი“ შეარქვეს. ახლა კი სახელი შეუცვალეს და „ქაოსის პრეზიდენტად“ მოიხსენიებენ. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ მოსახლეობის 75% მის პოლიტიკას მხარს აღარ უჭერს. საფრანგეთში დაბრუნებულმა მაკრონმა პრესასთან ისაუბრა. ინტერვიუ ანტიამერიკული ტონალობის აღმოჩნდა. მაკრონის განცხადებით, ევროპამ ამერიკისგან დამოუკიდებლად უნდა იმოქმედოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებში. პოლიტოლოგებმა ინტერვიუ ამერიკის წინააღმდეგ „შეფარულ ამბოხებად“ შეაფასეს. ჩინური პრესის ინფორმაციით, მაკრონმა სი ძინპინთან შეხვედრაზე ტაივანი ჩინეთის ტერიტორიად აღიარა და აღნიშნა, რომ შეიარაღებული დაპირისპირების შემთხვევაში ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებს.

მსოფლიოს ყურადღების ცენტრში გასულ კვირას დონალდ ტრამპის სასამართლო პროცესი მოექცა. ნიუ-იორკში მდებარე მანჰეტენის სასამართლოს შენობა ძალოვნების ალყაში იყო მოქცეული. სამართალდამცველებმა ტრამპის მომხრეები და მოწინააღმდეგეების განცალკევება მოახერხეს, თუმცა, მაინც ხდებოდა სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირებები. თავად ტრამპი შენობაში არა ცენტრალური, არამედ სათადარიგო შესასვლელიდან შეიყვანეს. პროცესის დაწყებისთანავე იგი დააპატიმრეს, მაგრამ ხელბორკილები არ დაუდიათ. პროკურორმა ერვინ ბრეგმა ბრალდებები წაიკითხა და პროცესიც დასრულდა. ამის შემდეგ ტრამპი 45-წუთიანი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ნიუ-იორკი ტრამპმა უკომენტაროდ დატოვა. მშობლიურ მალაგაში მას, როგორც გმირს, ისე დახვდნენ. „...სასამართლო აშშ-ში პოლიტიკურ ბერკეტად გადაიქცა... ახლა ბევრს საუბრობენ მოსალოდნელი ბირთვული ომის საფრთხეზე. ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში ამაზე ლაპარაკიც კი არ იქნებოდა... აშშ ჯოჯოხეთისკენ მიექანება“, — განაცხადა ტრამპმა მომხრეებთან შეხვედრაზე. მან, ასევე, თქვა: „...ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ აშშ-ში მსგავსი ფაქტი მოხდებოდა. ჩემი ერთადერთი დანაშაული ის არის, რომ ქვეყნის ინტერესებს ვიცავდი“. მომდევნო სასამართლო პროცესი 4 დეკემბერს გაიმართება, სასამართლოს პერიოდში ტრამპმა 10 მლნ დოლარი მიიღო შემოწირულობის სახით. ექსპერტების შეფასებით, აშშ-ში ხანგრძლივი პოლიტიკური ომი დაიწყო.

საინტერესოა, რომ პატიმრობის შემთხვევაში, ამერიკული კანონმდებლობით, ტრამპს შეუძლია საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ექსპერტების შეფასებით, მას გამარჯვების დიდი შანსი აქვს. ტრამპს დემოკრატების მხრიდან ახალი კონკურენტი გამოუჩნდა — 35-ე პრეზიდენტის, ჯონ კენედის ძმისშვილი, უმცროსი რობერტ კენედი, რომელიც 69 წლისაა და პროფესიით ადვოკატია.

გამოცემა „ვაშინგტონ პოსტმა“ გასულ კვირას პენტაგონიდან დაკარგული საიდუმლო დოკუმენტები გამოაქვეყნა. მათში დეტალურადაა აღწერილი უკრაინის ჯარების მოსალოდნელი შეტევების მიმართულებები და შეიარაღება. საბუთებში საუბარია, ასევე, კანადზე, ბრიტანეთზე, ჩინეთზე, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაზე... დოკუმენტებს თან ერთვის ფოტოები და რუკები. იუსტიციის სამინისტრომ და პენტაგონმა ერთობლივი გამოძიება დაიწყეს იმის დასადგენად, თუ ვინ გაავრცელა საიდუმლო დოკუმენტაცია.

პოლონეთის უმაღლესი ჯილდოთი, „თეთრი არწივის“ ორდენით დააჯილდოვეს გასულ კვირას სტუმრად მყოფი უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი. „...მალე პოლონეთსა და უკრაინას შორის საზღვრები აღარ იარსებებს, ამისთვის კი საჭიროა გამარჯვება“, — განაცხადა ზელენსკიმ. მისივე თქმით, თუ ბახმუტის ფრონტზე უკრაინის ჯარს პრობლემები შეექმნება, მას ქალაქს დაატოვებინებს. უკვე წლებია, პოლონეთში აქტიურად საუბრობენ უკრაინასთან კონფედერაციის შექმნაზე და, ასევე, „რეჩ პოსპოლიტას“ სახელმწიფოს აღდგენაზე ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. პოლონეთის მიზანია, დაიბრუნოს ყოფილი ტერიტორია, კონკრეტულად კი დასავლეთი უკრაინა. ზელენსკი ამას არ ეწინააღმდეგება. ამიტომაც, ევროპელი და უკრაინელი პოლიტოლოგების ნაწილს ეჭვი გაუჩნდა, რომ ზელენსკიმ უკვე მიჰყიდა პოლონელებს უკრაინის ტერიტორიები.

დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს რუსეთ-ბელარუსის ინტეგრაცია. ბელარუსში ბირთვული იარაღის განთავსების შესახებ განცხადების შემდეგ, გასულ კვირას მოსკოვში გაიმართა ორი მოკავშირე ქვეყნის უმაღლესი საბჭოს სხდომა, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტები ვლადიმირ პუტინი და ალექსანდრ ლუკაშენკო ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. ამჯერად განსაკუთრებით ხანგრძლივი საუბრები ჰქონდათ. ორ დღეში, საერთო ჯამში, პირისპირ 12 საათზე მეტხანს ისაუბრეს. თემები უცნობია, საჯაროდ კი პუტინმა განაცხადა: „...რუსეთი და ბელარუსი ვაღრმავებთ თავდაცვის საკითხებში თანამშრომლობას“; „თუ საჭირო გახდება, ჩვენი ქვეყნების დასაცავად ყველა ზომას გამოვიყენებთ“, — თქვა ლუკაშენკომ. კითხვაზე, კმაყოფილია თუ არა მის ქვეყანაში ბირთვული იარაღის განთავსებით, ლუკაშენკომ უპასუხა: „...ჩემი აზრით, სამყაროში არსებული ბირთვული იარაღის მთელი არსენალი უნდა მოგროვდეს და განადგურდეს, მაგრამ ახლა ასეა საჭირო“.

გია ბურდული
551 71 27 07

ასეთი თავისუფალი სასამართლო, როგორიც დღესაა, საქართველოს უახლეს ისტორიას არ ახსოვს

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ოთხი მოსამართლისთვის სანქციების დაწესებამ საქართველოში საზოგადოების მწვავე რეაქცია გამოიწვია. მოქალაქეთა დიდი ნაწილი დასავლეთის ამ ნაბიჯს უსამართლოდ მიიჩნევს და აშშ-სგან, როგორც კანონის დამცველი ქვეყნისგან, მეტ განმარტებას ითხოვს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ილია დარჩიაშვილმა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა კიდეც შესაბამისი პასუხი და ენტონი ბლინკენს, როგორც სანქცირების მთავარ შემოქმედს, ბრალდებებთან დაკავშირებით მეტი მტკიცებულებების წარმოდგენა მოსთხოვა. იურისპრუდენციის ფილოსოფია დასავლეთმა თავისი ტრენინგებითა და საერთაშორისო გამოცდილებით, იმდენად კარგად აათვისებინეს ჩვენს მოსამართლეებს, ახლა თავად მოუწევთ მათი მოსმენა და ლეგიტიმურ კითხვებზე პასუხების გაცემა. მაგალითად, იმაზე, რა მტკიცებულებები აქვთ მათთვის სანაქციების დაწესებისთვის და რამდენად ობიექტური წყაროსგან აქვთ მიწოდებული ფაქტები. სხვათა შორის, ფაქტებს და მტკიცებულებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნების გამართლებისთვის, ან გასამტყუნებლად და ამ ტექნოლოგიებს იმდენად კარგად ფლობენ ჩვენი დასჯილი მოსამართლეები, რომ სიმართლის დამტკიცება არ გაუჭირდებათ.

დასავლეთის ინტერესი ლევან მურუსიძის, როგორც მოსამართლის მიმართ, ალბათ, მაინც განპირობებულია იმ მწვავე, სიცრუეზე აგებული საინფორმაციო ომით, რომელსაც ზოგიერთი ანგაჟირებული მედიასაშუალება მის მიმართ აქტიურად აწარმოებს საქართველოში.

გირგვლიანის მოსამართლედ წოდებული მურუსიძის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ბევრს აქვს, მათ შორის, იმ არასამთავრობოებსაც, რომლებიც თავიანთი დასკვნებით ლამის ყოველდღე არწმუნებდნენ ცივილიზებულ სამყაროს, რომ ნაციონალთა ხელისუფლებიდან „გადმობარგებული“ ლევან მურუსიძე დღეს, თურმე, სასამართლოს კლანს უდგას სათავეში და ამ ხელისუფლების ვასალია. ლევან მურუსიძემ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შემდეგი განცხადება გააკეთა: **„კორუფცია, ეს არის, უბრალოდ, შირმა, აპრობირებული მეთოდი, რომლითაც ხდება გარკვეული მიზნის მიღწევა. ეს იყო აშშ-ის საელჩოს სურვილი, „გაეკონტროლებინა სასამართლო სისტემა, რასაც ისინი წლების განმავლობაში ცდილობდნენ სხვადასხვა გზით, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ოპოზიციური პარტიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით“.** მან აშშ-ის მიერ საქართველოს სასამართლო სისტემაზე გავლენის მოპოვების მცდელობის მაგალითად მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის შემთხვევა გაიხსენა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში არამარტო ჩხიკვაძე, არამედ მისი მხარდამჭერი მოსამართლეებიც აშშ-ის საელჩოს მხრიდან ზეწოლის მსხვერპლნი გახდნენ.

სხვათა შორის, ლევან მურუსიძე დიდი ხანია, გვაფრთხილებდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც მის მიმართ აგორებულ სიცრუეს ანგაჟირებული ე.წ. ენჯეოები კიდევ უფრო მეტ მასშტაბებს შესძენდნენ, მაგრამ მაშინ რატომღაც გავჩუმდით და ამ შედეგებამდე სწორედ ამის გამო მივედით.

ჯერ იყო და, ნიკა გვარამიას მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე დასავლეთმა ისე დასაჯა, ვერაფრით „ვუშველეთ“. არადა, თავად ბრალდებულმა გვარამიამ ანგაჟირებულ მედიასაშუალებას მოუწოდა კიდეც, აღარ გაეკეთებინათ შეურაცმყოფელი აქცენტები მისი მსაჯულის მიმართ, რადგან, როგორც იურისტმა, კარგად იცოდა თავისი დანაშაულის სუსტი და ძლიერი მხარეები და ბედს შეურიგდა. „მთავარი არხის“ დირექტორს, დაპატიმრების შემდეგ, არც სოციალური მედიით, რომელსაც ხშირად იყენებს და არც სხვა მედიასაშუალებით, ერთხელაც აღარ უხსენებია, რომ მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის მიერ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი უკანონო იყო.

ლევან მურუსიძეს ჩემი ადვოკატობა არ სჭირდება. თუმცა არსებობის უფლება ამ შეფასებასაც აქვს. ნულოვანი ტოლერანტობის პირობებში, იმ დროს მართლაც შეუძლებელი იყო, მოსამართლის მანტია ვინმეს სერიოზულად აღექვა. საზოგადოება მოკლე მეხსიერებას არ უჩივის და კარგად ახსოვს ის მოსამართლეეები, რომლებიც პროკურატურის ყველა წინადადებას უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ და უკანონობას აკანონებდნენ.

სხვა სხვის ომში ბრძენიაო, ამბობენ და საკითხავია, რა გამოსავალი შეეძლო ეპოვა მაშინ ლევან მურუსიძეს პოლიციური რეჟიმის პირობებში და შეეძლო თუ არა, სამართლიანი ყოფილიყო, მათ შორის, გვირგვლიანის საქმეშიც? აქ აუცილებლად მოსახმობია მისივე არგუმენტები, ერთ-ერთი სატელევიზო ინტერვიუს დროს რომ მოიყვანა. მათი გაგება არაიურისტისათვის ძნელად ასახნელია, სამაგიეროდ, ანგაჟირებული მედია ლევან მურუსიძის მიმართ იგივე ბრალდებებს კვლავ აქტიურად იმეორებს: „ **მე მაშინ, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს, მეტი არაფერი შემეძლო, რადგან დაცვის მხარეს, ადვოკატებს არ წარმოუდგენიათ საკასაციო საჩივარი, რაც მათი დიდი შეცდომაააა და მე არ მქონდა უფლება, პროცესუალურად დამოუკიდებლად მემსჯელა ამ საკითხზე“-ო.** აქ ნამდვილადაა სიმართლის დიდი მარცვალი, რადგან, სამართლის სპეციალისტების აზრით, კანონით, თუ დაცვის მხარე არ ასაჩივრებს განაჩენს, არც მაშინ და არც დღეს, სასამართლოს უფლება არ აქვს, პროცესუალურად იმსჯელოს თავისი შეხედულებისამებრ. როგორც ჩანს, გირგვლიანის ადვოკატებს, როგორც მხარეს, უზენაეს სასამართლოში მართლაც არ გაუსაჩივრებიათ თავიანთი პრეტენზია, თორემ თავისი ბრალდების საპირწონედ ამ ფაქტს მურუსიძე ხომ არ მოიყვანდა?

სამწუხაროდ, ნაციონალური ხელისუფლების მძევალი არაერთი სახელმწიფო მოხელე იყო და რა გასაკვირია, მათ რიგებში ბატონი მურუსიძეც რომ ყოფილიყო. სწორედ ამ მოტივით, მისი, როგორც პროფესიონალი მოსამართლის გულწრფელობაში, ახალ ხელისუფლებას ეჭვი არ შეჰპარვია და მანტია დღემდე შეუნარჩუნა.

ოცნების ხელისუფლებაში „გადმობარგებული“ ლევან მურუსიძე ინარჩუნებს თუ არა ობიექტურობას, ეს კარგად გამოჩნდა ერთ-ერთი პროცესის დროს, როდესაც სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და საგარეჯოს რაიონში მცხოვრებ თოთხმეტ ოჯახს კუთვნილი მიწის ნაკვეთები საკუთრებაში დაუბრუნა. როგორც ამბობენ, ლევან მურუსიძის ბოლოდროინდელ მოღვაწეობაში მსგავსი ბევრი საინტერესო გადაწყვეტილება ბევრი მოიპოვება. ამ ფონზე შეუძლებელია, თქვა, რომ ლევან მურუსიძე დამოუკიდებელი არ არის და ის ხელისუფლების ვასალია.

იმედია, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ახლა მაინც გადახედავს თავის გადაწყვეტილებებს და, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ოთხ მოსამართლეს სანქციებს მოუხსნის, რადგან არ არსებობს მტკიცებულებები იმის საპირწონედ, რასაც ანგაჟირებული მედიასაშუალებები და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცა დასავლეთს აწვდიან.

ასეთი თავისუფალი სასამართლო, როგორიც დღესაა, საქართველოს უახლეს ისტორიას არ ახსოვს. რისი დასტურიცაა არაერთი გამამართლებელი განაჩენი და დაკმაყოფილებული სარჩელი. თუ ეს ასეა, მაშინ სადღაა კორუფცია და კლანი? არსებობს კი შესაბამისი ფაქტები? საბედნიეროდ, სასამართლო განაჩენების სტატისტიკა სხვა რამეს ამბობს. სამართლანობისთვის უნდა ითქვას, რომ მათ, ვინც ამ ბრალდებებს ისმენს, ბუნებრივია, დაებადებათ კითხვები: თუ ლევან მურუსიძის, ან სხვა მოსამართლეთა მიმართ არსებობდა კორუფციული ფაქტები, რას ემყარება ასეთი ვარაუდი, არსებობს რაიმე დასკვნა ან გადაწყვეტილება, თუნდაც საპარლამენტო, რომ კონკრეტული მოსამართლე კორუფციაშია ეჭვმიტანილი? სხვა შემთხვევაში, დასავლეთი მავანთა მიერ შეცდომაშია შეყვანილი და ტელეეთერებიდან განაწყენებულ ყოფილ მოსამართლეთა მიერ მოთხრობილი ამბები სხვა არაფერია, თუ არა ჭორაობა.

ნებისმიერი სახელმწიფო სამართალზე დგას. თუ შენ ამბობ,რომ მოსამართლეებს სანქციებს უწესებ, შენ იმთავითვე ადასტურებ, რომ მთელ ქვეყანას და მის ნებისმიერ ინსტიტუტს უწესებ სანქციებს, სხვა ლოგიკა დასავლეთის მხრიდან ამ საქმეში არ არსებობს!

დაბოლოს, იმედია, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ახლა მაინც გადახედავს თავის გადაწყვეტილებებს და საქართველოს ოთხ მოსამართლეს სანქციებს მოუხსნის, რადგან არ არსებობს მტკიცებულებები იმის საპირწონედ, რასაც ანგაჟირებული მედია და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია დასავლეთს აწვდიან. საწყენია, რომ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს, ალბათ, დაავიწყდათ ჩვენი ქვეყნის ახლო წარსული და ოსვეცნციმის ბანაკად ქცეული საქართველოს მწარე დღეები. რატომღაც მაშინ არავის გახსენებია არც შეშფოთება და აღარც სანქციები ფეხქვეშგათელილი ადამიანის უფლებების დასაცავად!

ფაქტები, ბატონებო, ფაქტები! - ასე მიმართავენ სანქციებდაწესებული მოსამართლეები მსოფლიოს და, ვფიქრობთ, მტკიცებულებათა მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, მოსამართლეთა დასჯის ავტორებს ბოლოს აუცილებლად შერჩებათ ხელში მათი მხარდამჭერი პროვოკატორების არაფრისმთქმელი არაობიექტური ე. წ. მტკიცებულებები, რომლებიც კრიტიკას ვერ გაუძლებენ!

ლევან ჭილლაძე

ეროვნულმა ბოტანიკურმა ბაღმა საკურას ყვავილობის აღსანიშნავად სტუმრებს უმასპინძლა

3 წლის წინ, თბილისის მერიისა და საქართველოში იაპონიის საელჩოს ორგანიზებით, საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში საკურას ხეივნის გაშენების ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში ბოტანიკურ ბაღში 100 ძირი საკურას ხე-მცენარე დაირგო. საკურას ნერგები დედაქალაქს საჩუქრად იაპონიის საელჩომ გადასცა.

„დღეს გამორჩეული დღეა. მოხარული ვარ, რომ ახდა ჩვენი ოცნება და თბილისში დავრგეთ საკურას ნერგები. ამ საკითხზე ჯერ კიდევ 2 წლის წინ ვესაუბრეთ თბილისის მერს. თბილისისთვის საკურას ნერგების გადაცემის იდეა და ინიციატივა ეკუთვნის იაპონიის კომერციისა და მრეწველობის პალატის ცენტრალური ფედერაციის პრეზიდენტს, იოშიჰისა მორისს.

რამდენიმე წელში ეს საკურა უკვე აყვავდება და იმედი მაქვს, რომ ქართველები და იაპონელები ერთად დასხდებიან და დატკბებიან საკურას ყვავილობით. ამით საკურა, როგორც იაპონიის სიმბოლო, უფრო გააღრმავებს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობებს“, - განაცხადა ელჩმა.

„იაპონიის საელჩოს ინიციატივით, ჩვენ გადმოგვეცა 100 ძირი საკურას ნერგი. მინდა, მადლობა გადავუხადო იაპონიის მთავრობას, იაპონიის საელჩოს და ბატონ ელჩს. ძალიან მნიშვნელოვანია ის ურთიერთობები და თანამშრომლობა, რომელიც არსებობს ჩვენს ქვეყნებს შორის. დარწმუნებული ვარ, რომ სამომავლოდ ჩვენ ძალიან დიდი რესურსი გვაქვს, რომ ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის არსებული ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდეს. იაპონია არის უდიდესი კულტურის მქონე ქვეყანა და ძალიან სასიხარულოა ეს პროექტი, რომელიც ბოტანიკურ ბაღში ხორციელდება. თქვენ იცით, რომ ბოტანიკურ ბაღში არის იაპონური ბაღი. საკურას ხეივანი კიდევ უფრო დაამშვენებს ჩვენს ულამაზეს ბოტანიკურ ბაღს“, - თქვა კახა კალაძემ.

* * *

ამ დღეებში კი საქართველოს ეროვნულმა ბოტანიკურმა ბაღმა საკურას ყვავილობის აღსანიშნავად სტუმრებს უმასპინძლა.

საკურას ყვავილობის ღონისძიება ტრადიციული იაპონური ჩაის ცერემონიით გაიხსნა, რომელსაც საქართველოში იაპონიის ელჩის მეუღლე უძღვებოდა.

წლევანდელი ღონისძიების ფარგლებში, იაპონური ბაღის მიმდებარედ, ვარდისფრად და თეთრად მოყვავილე საკურას 25 ახალი ნერგი დაირგო.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ბოტანიკური ბაღის ბონსაის კოლექცია, თემატური ხელნაკეთი ნივთების, იაპონური ტრადიციული სამოსისა და ახალგაზრდა მხატვრების მიერ შესრულებული, იაპონური თემატიკის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

დამთვალიერებლებს ასევე ჰქონდათ სუშის მომზადების მასტერკლასზე და იაპონური ტრადიციული საბრძოლო ხელოვნების წარმოდგენაზე დასწრების შესაძლებლობა.

სამძიმარი

78 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი კომენტატორი და საკალათბურთო სპეციალისტი ჯამლეტ ხუხაშვილი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მეუღლესთან - ნუნუკა თამაზაშვილთან ერთად, სპორტის სასახლეში ჟურნალისტისა და კომენტატორის, ჯამლეტ ხუხაშვილის სამოქალაქო პანაშვიდზე იმყოფებოდა.

მთავრობის მეთაურმა გარდაცვლილის ოჯახს, კოლეგებსა და ახლობლებს მიუსამძიმრა.

„მინდა ყველას მოგისამძიმროთ ეს მძიმე წუთები. ბატონი ჯამლეტ ხუხაშვილი გახლდათ ლეგენდარული პიროვნება, ლეგენდარული ადამიანი, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში უზომო სიყვარულით და თავდადებით ემსახურა თავის ქვეყანას და თავის საქმეს. ბატონი ჯამლეტი თავისი მოღვაწეობით გვაძლევდა სწორ მაგალითს. მას ყოველთვის ჰქონდა სწორი სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო პოზიცია. მთელი თავისი შეგნებით იგი ემსახურებოდა ქართული სპორტის განვითარებას, პოპულარიზაციას. მან არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენი აჩუქა ჩვენს ქვეყანას. ამას გარდა, ბატონი ჯამლეტი თავდაუზოგავად შრომობდა იმისთვის, რომ ებრაელ და ქართველ ხალხს შორის ძმობა და მეგობრობა კიდევ უფრო მტკიცე გამხდარიყო. ჩემთვის ძალიან მძიმე წუთებია. მე განსაკუთრებით მიყვარდა ბატონი ჯამლეტ ხუხაშვილი. მინდა მის ოჯახს, ქალბატონ ევას, მის შვილებს, ახლობლებს, ნათესავებს, ყველას მივუსამძიმრო ეს მძიმე წუთები. ბატონი ჯამლეტი მუდამ დარჩება ჩვენს გულებში. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ, ვიზიარებთ ამ მძიმე წუთებს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული“, - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურთან ერთად, ჯამლეტ ხუხაშვილის ოჯახს მიუსამძიმრეს პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ, ვიცეპრემიერმა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა, თბილისის მერმა კახა კალაძემ და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

პროტოპრესვიტერმა მამა გიორგი ზვიადაძემ პატრიარქის სამძიმრის წერილი წაიკითხა.

ჯამლეტ ხუხაშვილი 1963 წლიდან იყო სპორტული კომენტატორი. ის ასევე იყო საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თავმჯდომარე. ჯამლეტ ხუხაშვილი იყო თბილისის საპატიო მოქალაქე და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, 1998 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, ქართული სპორტის განვითარების, მისი პოპულარიზაციის, ქართველი და ებრაელი ხალხების ურთიერთობათა განმტკიცების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის. 2013 წელს კი დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილისა და ოლიმპიური ორდენებით.

„მშრალი სისხლი მკვდარი სისხლია, ეს ყველამ იცის. შეიძლება, ჩავატაროთ ფარაონთა და მათი მუმიების სისხლის ანალიზი, მაგრამ შეუძლებელია ქრომოსომებზე ანალიზის ჩატარება იმ მეთოდებით, რაც ჩემთვის ცნობილია.

ვერ დავიჩემებ, რომ ყველაფერი ვიცი, მაგრამ მე ვიცი, რომ მკვდარ სისხლზე ქრომოსომული ანალიზის ჩატარება შეუძლებელია. შეიძლება დნმ-ის აღება, მაგრამ არა ქრომოსომების რაოდენობის დაზუსტება — ეს მხოლოდ ცოცხალი სისხლის თეთრ უჯრედებზე კეთდება. ასე რომ, ამ ანალიზის ჩასატარებლად მე მივიტანე ეს სისხლი ისრაელის ერთ-ერთ ლაბორატორიაში, რადგან მითხრეს, რომ სწორედ ეს ლაბორატორია იყო სანდო.

მე ვუთხარი: „გთხოვთ, ჩაატარეთ ამ სისხლის ანალიზი და მითხარით მასზე ყველაფერი, რის თქმასაც შეძლებთ.“ ვთხოვე, დავსწრებოდი ანალიზის ჩატარების პროცესს, რაზეც დამთანხმდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მათ მითხრეს: „ეს ადამიანის სისხლია.“ ვთხოვე, აეღოთ სისხლის თეთრი უჯრედები, მოეთავსებინათ ზრდისთვის ხელსაყრელ გარემოში 48 საათის განმავლობაში. მათ მითხრეს, რომ ამას აზრი არ ჰქონდა, რადგან სისხლი მკვდარი იყო. ჩემს თხოვნაზე დამთანხმდნენ. კვლავ დავრჩი, როცა ამ სისხლის ხელახალი შესწავლა დაიწყეს. უცებ, ერთმა თანამშრომელმა მეორეს დაუძახა, ორივემ — უფროსს და რამდენიმე წუთი ივრითზე საუბრობდნენ, მერე კი შემომხედეს და მითხრეს: „მისტერ უაიტ, ამ სისხლში მხოლოდ 24 ქრომოსომაა!“

ყოველ ჩვენგანს აქვს 46 ქრომოსომა, 23 დედისგან და 23 მამისგან. მათგან 22 აუტოსომა დედისგან და 22 — მამისგან, პლუს X ქრომოსომა დედისგან და Y ქრომოსომა მამისგან. ამ სისხლში კი იყო 23 ქრომოსომა დედისგან და მხოლოდ ერთი Y ქრომოსომა. ბავშვი ვერ შეძლებს განვითარებას, თუ არ ექნება აუტოსომები დედისგან. მისი ყველა ფიზიკური მახასიათებელი მხოლოდ დედის მხრიდან განისაზღვრებოდა, დედის აუტოსომებით, მამრობითი სქესი კი მხოლოდ ერთი Y ქრომოსომით განისაზღვრებოდა, რომელიც ადამიანის არ იყო.

შემდეგ მათ თქვეს: „ეს სისხლი ცოცხალია“ და მკითხეს, ვისი სისხლი იყო.

მე ვუპასუხე: „ეს თქვენი მესიის სისხლია...“ დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ მათი ცხოვრება შეიცვალა...

რონ უაიტი, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, მედიკოსი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ბიბლიაზე დაყრდნობით ეწარმოებინა გამოკვლევები.

ჭეშმარიტად!!!

აღსდგა თუ არა მკვდრეთით იესო ქრისტე?

მკვდრეთით აღდგომა ის თემაა, რომელიც ღმერთის არსებობაზე დაგვაფიქრებს. ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა ფრიდრიხ ენგელსმაც კი აღიარა. თავისი თხზულების ხელახალი გამოცემის წინასიტყვაობაში მან დაწერა: „უახლესი კაპადოკიური აღმოჩენები გვაიძულებენ, შევიცვალოთ შეხედულება იმაზე, რაც ადრე მხოლოდ მითოლოგების ყურადღების ღირსად გვეჩვენებოდა. ახალი დოკუმენტები ღაღადებენ ისტორიის სას-



წაულთაგან უდიდესი სასწაულის სასარგებლოდ — სიცოცხლედ მობრუნების შესახებ იმისა, ვისაც ის გოლგოთაზე წაართვეს.“

ენგელსის ეს სიტყვები უცნობი იყო ჩვენთვის, რადგან არასოდეს უთარგმნიათ რუსულ ენაზე. კაპადოკიურ აღმოჩენებს, რომლებმაც თვით ენგელსი დაარწმუნეს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაში, მოჰყვა მთელი რიგი სხვა აღმოჩენებისა.

იოსებ ფლავიოსი

იოსებ ფლავიოსით, რადგან იგი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ისტორიული მოწმეა, რადგან იგი იესოს თანამედროვე იყო და შეიძლებოდა, რომ სახარებაში აღწერილი მოვლენების კურსში ყოფილიყო. ფლავიოსი არ იყო იესო ქრისტეს მიმდევარი, მაგრამ ნუთუ ნამდვილად არაფერს ამბობს ფლავიოსი იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ? მისი თხზულებების ფრაგმენტების კრებულში წერია: „ამ დროს აღმატებული იყო იესო, მაღალი სიბრძნის კაცი, თუკი შეიძლება მას ადამიანი ვუწოდოთ, სასწაულებრივ საქმეთა აღმასრულებელი. როცა ჩვენში უპირატესთა დასმენით პილატემ ჯვარს აცვა, მესამე დღეს იგი კვლავ გამოეცხადათ ცოცხალი.“

ბერძენი გარმიზიოსი

ბერძენ გარმიზიოსს იუდეის მემატიანის ოფიციალური თანამდებობა ეკავა პონტოელი პილატეს დროს. მისი ცნობები ორი მიზეზის გამო იმსახურებს ყურადღებას: პირველი — ისინი შეიცავენ ცნობებს იუდეის ისტორიის შესახებ; მეორე — გარმიზიოსი მკვეთრად გამოირჩევა თავისი გადმოცემის მანერით.

გარმიზიოსის მოწმობები იმითაცაა ღირებული, რომ იესო ქრისტეს აღდგომის დღიდან იგი იმ ადგილთან ახლოს იმყოფებოდა, თან ახლდა პილატეს ერთ-ერთ თანაშემწეს. აღსანიშნავია ისიც, რომ გარმიზიოსი ძალზე უარყოფითად იყო განწყობილი ქრისტეს მიმართ და, როგორც თვითონ ამბობს, არწმუნებდა პილატეს ცოლს, რომ თავისი ქმრისთვის არ გადაეთქმევინებინა იესოს სიკვდილით დასჯა. გარმიზიოსს ქრისტე მატყუარად მიაჩნდა. ღამით, კვირის დადგომისას, საკუთარი ინიციატივით გაემართა უფლის საფლავისკენ, რათა საბოლოოდ დარწმუნებულიყო მისი ჩვენებების სოცრუეში, რომ მომკვდარი არასდროს აღდგება მკვდრეთით...

გარმიზიოსი წერს: „საფლავს ასორმოცდაათიოდე ნაბიჯზე რომ მივუახლოვდით, რიჟრაჟის სუსტ სინათლეში დავინახეთ საფლავთან მყოფი მცველები — ორი კაცი იჯდა, დანარჩენები კი მიწაზე იწვნენ. მალე საფლავისკენ მიმავალმა მცველებმა გადაგვისწრეს, რომელთაც იქ მყოფნი უნდა შეეცვალათ. ანაზდად იქაურობა ძალზე განათდა. ჩვენ არ შეგვეძლო გაგება, საიდან მოდიოდა ეს ნათელი. შორს დავინახეთ, რომ ის მოძრავი მბრწყინავი ღრუბლისგან მოედინებოდა. ნათება საფლავისკენ დაეშვა და ჰაერში თითქოს ცვილისგან ჩამოქნილი ადამიანი გამოისახა. შემდეგ ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა, ოღონდ ცაში კი არა, არამედ მიწაზე. შეშინებული მცველები წამოცვივდნენ და მაშინვე მიწაზე დაემხვნენ. ამ დროს საფლავისკენ, ჩვენგან მარჯვნივ, ბილიკზე ქალი მიდიოდა, რომელმაც უცებ ყვირილი დაიწყო: „გაიხსნა! გაიხსნა!“ და ახლა უკვე ჩვენც დავინახეთ, რომ მართლაც, მღვიმის შესასვლელზე აფარებული ვეება ლოდი თითქოსდა თავისით გადაიწია და საფლავის მღვიმეში შესასვლელი გაიხსნა. ჩვენ ძალიან შეგვეშინდა. გარკვეული ხნის შემდეგ კი სინათლე საფლავის თავზე გაქრა და ყველაფერი ისევ ჩვეულებრივი გახდა. როცა ჩვენ ამის შემდეგ აკლდამას (საფლავს) მივუახლოვდით, აღმოჩნდა, რომ მასში აღარ იყო იქ დაკრძალული ადამიანის სხეული.“

გარმიზიოსის ჩვენებები კიდევ ერთის მხრივ არის საინტერესო — იგი წერს, რომ იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯამდე მცირე ხნით ადრე იუდეაში მოიჭრა მონეტა კეისრის (ტიბერიოსი) დიდი გამოსახულებით ერთ მხარეზე და პილატეს მცირე გამოსახულებით მეორე მხარეზე.

იესო ქრისტეს გასამართლების დღეს, როცა პილატეს ცოლმა მსახურები გაგზავნა ქმართან, როგორც ეს სახარებაშია ნათქვამი, რომელთა მეშვეობით არწმუნებდა ქმარს, ქრისტესთვის სასიკვდილო განაჩენი არ გამოეტანა, თავის ბოლო წერილში ეკითხებოდა ქმარს: რითი გამოისყიდი დანაშაულს, თუკი შენ მიერ განსჯილი მართლაც ღმერთის ძეა და არა ბოროტმოქმედიო.

პილატემ ასე უპასუხა: „თუ ის ღმერთის ძეა და მართლაც აღდგება მკვდრეთით, მე ავკრძალავ ჩემი გამოსახულების გაკეთებას მონეტებზე“. უნდა აღინიშნოს, რომ მონეტაზე გამოსახულების გაკეთება უდიდესი პატივი იყო გამოსახული პიროვნებისთვის.

...და პილატემ საკუთარი დაპირება შეასრულა, მან აკრძალა თავისი გამოსახულების აღბეჭდვა იუდეაში მოჭრილ მონეტებზე...

გარმაზიოსის ეს ცნობა დასტურდება იმ დროის ნივთიერი მტკიცებულებებით — რომაულ ნუმიზმატიკაში ცნობილია, რომ იერუსალიმში იმ დროიდან მონეტებს ჭრიდნენ მხოლოდ კეისრის გამოსახულებით...

ეიშუ სირიელის მოწმობა

სირიელი ეიშუ, ცნობილი მკურნალი, რომელიც პილატესთან იყო დაახლოებული.

ეიშუ წერს: „ჩვენ, ყველანი, მკურნალნიც და საფლავის მცველებიც, ჯანმრთელნი, მხნედ ვიყავით და არანაირი წინათგრძნობა არ გვქონდა. ამასთან, რა თქმა უნდა, სრულიად არ გვჯეროდა, რომ მკვდარი ადამიანი შეიძლება აღდგეს, მაგრამ იგი მართლაც აღდგა და ჩვენ ეს საკუთარი თვალით ვიხილეთ.“ და შემდეგ იგი აღწერს მოვლენას ისევე, როგორც სხვები.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს მიმდევრები არ იყვნენ, მისი მკვდრეთით აღდგომის შესახებ მაინც დაწერეს: ქრისტე გალილეველმა, მესოპოტამიელმა, შაბრუნი-მამამ, Fერნანდომ სარეპტიდან,

ნავინ ანტიოქიელმა, მაფერკანტ იერუსალიმელმა.

ებრაელი მაფერკანტის მოწმობა

მაფერკანტი სინედრიონის (ებრაელთა მთავრობის) ერთ-ერთი წევრი და ხაზინადარი იყო, რომელიც იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯაში მონაწილეობდა. სწორედ მისგან მიიღო იუდამ ფული გამცემლობისთვის, მაგრამ, როცა იესო ქრისტეს აღდგომის შემდეგ იუდეველთა შორის განგაში ატყდა, მაფერკანტი სინედრიონის წევრთაგან პირველი მივიდა ადგილზე საქმის გამოსაძიებლად და დარწმუნდა, რომ იესო ნამდვილად აღდგა მკვდრეთით.. ეს აღწერილია მის თხზულებაში „პალესტინის მმართველთათვის“, რომელიც პალესტინის ისტორიის ერთ-ერთ ღირებულ და უტყუარ წყაროდ არის აღიარებული.

ცარიელი სამარხი

აღდგომის მნიშვნელოვანი ელემენტი ის უწყებაა, რომ დალუქული საფლავი გაიღო და ვიღაცამ ლოდი გადააგორა. კვირის პირველ დღეს, ადრიან დილას, მრავალი ადამიანი იყო მოწმე იმისა, რომ საფლავი აღარ იყო დაკეტილი და სულაც, ცარიელი იყო. ვის შეეძლო ტონიანი ლოდის შეუმჩნევლად გადაგორება მრავალრიცხოვანი მცველების თვალწინ?

ოთხივე სახარებაშიც წერია, მღვდელმთავართა გუშაგები და იესოს რამდენიმე მოციქული ამბობენ, რომ სამარხი ცარიელი იყო...

პოლ ლითლის მტკიცებით, რომელიც ყველა არგუმენტს განიხილავს, „ერთადერთი თეორია, რომელიც ადეკვატურად ხსნის ცარიელი სამარხის საკითხს, იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაა“.

წმინდა წერილებში არანაკლებ თორმეტი ფაქტია მოხსენიებული, როცა იესო ადამიანებს გამოეცხადა. 1. გამოეცხადა მარიამს, რომელიც საფლავთან მივიდა პეტრესა და იოანეს წამოსვლის შემდეგ; 2. სხვა ქალს, რომელსაც იესო გზაზე შეხვდა; 3. მოწაფეებს ემაუსის გზაზე; 4. სიმონ-პეტრეს; 5. ათ მოციქულს; 6. თერთმეტ მოციქულს; 7. მოციქულებს ტიბერიის ზღვასთან; 8. მოციქულებს გალილეის მთაზე; 9. ერთდროულად, დაახლოებით, ხუთიათას მორწმუნე ძმას; 10. იაკობს; 11. მოციქულებს ამაღლების მთაზე; 12. პავლეს.

ჰენრი თეისენი წერს: სამი რამ არის აუცილებელი მოწმეების სანდოობისთვის: 1. უნდა იყვნენ კომპეტენტური თვითმხილველი მოწმეები; 2. მოწმე უნდა იყოს რამდენიმე; 3. თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს კარგი რეპუტაცია. არიან თუ არ არიან ჩამოთვლილი მოწმეები ასეთები? ისინი სიზუსტით ამბობდნენ, რომ ესწრებოდნენ და ხედავდნენ ყველაფერს საკუთარი თვალებით. ამტკიცებენ, რომ მათი ინფორმაცია არ იყო სხვისგან მოსმენილი. ისინი ბევრნი იყვნენ და მრავალი სხვა ეპიზოდი. ერთ-ერთ ეპიზოდში, მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე ერთდროულად ხუთასზე მეტ ადამიანს გამოეცხადა. ამასთანავე, იესო ეჩვენებოდა სხვადასხვა დროსა და ადგილზე სხვადასხვა პიროვნებებს.

მაკა ჯაყელი

როგორ ხვდებიან აღდგომას საქართველოში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში



აღდგომა უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია. ამ დღეს სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებას აღვნიშნავთ. აღდგომა მოძრავია, რომელიც თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის უმთავრესია. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა, რის შემდეგაც მოკვდავთათვის სამოთხის კარიბჭე გაიღო. აღდგომა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას აღინიშნება, იუდეველთა პასექის დასრულების შემდეგ, კვირა დღეს. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ახალი სტილით 4 აპრილიდან 8 მაისამდე პერიოდში ხვდება. მაცხოვარი ადამის მოდგმის მხსნელად მოგვევლინა. მან გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვის ზიდვა იტვირთა.

აღდგომის დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე ქრისტიანული სამყარო ბზობის დღესასწაულს აღნიშნავს. ამ დღეს ქრისტე იერუსალიმში დიდებით შევიდა. ხალხი მას პალმის რტოებითა და „ოსანას“ შეძახილებით შეხვდა. ტრადიციულად ამ დღეს ეკლესიიდან მორწმუნეებს ოჯახში ნაკურთხი ბზა მიაქვთ, რასაც ჩვენთან პალმის რტოების სიმბოლური დატვირთვა აქვს.

ბზობის შემდეგი კვირა ვნებისაა. ვნების კვირაში ქრისტიანები წითელ პარასკევს კვერცხებს ღებავენ, რაც ქრისტეს ვნების სიმბოლოდ მიიჩნევა და მის მიერ დაღვრილ სისხლს განასახიერებს. რაც შეეხება პასკას, იგი მაცხოვრის აღდგომის რწმენას განასახიერებს. პასკა სიმბოლურად გოლგოთას აღნიშნავს — მთას, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს. სააღდგომო ტრადიციაა ასევე ჯეჯილი, რაც სიცოცხლისა და განახლების სიმბოლოა.

ზუსტად ღამის თორმეტ საათზე საქართველოს ყველა ეკლესიაში საზეიმო ლოცვა იწყება და დილამდე გრძელდება. „ქრისტე აღდგა! — ჭეშმარიტად აღდგა!“ — ასე ულოცავენ სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღეს ერთმანეთს ქრისტიანები. აღდგომას ყველა ქრისტიანულ ოჯახში საზეიმო სუფრა იშლება, სადაც მთავარი ატრიბუტები წითელი კვერცხი და პასკაა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ძველი სააღდგომო ტრადიციები არსებობდა, რაც დღეს აღარ სრულდება. გამორჩეული ტრადიციაა **ჭონა**. ის საშობაო ალილოს მსგავსია. მეჭონეები სააღდგომო სიმღერით სოფლის ყველა ოჯახს ქრისტეს აღდგომას ულოცავდნენ. ოჯახი მათ კვერცხებით, ტკბილი კვერებითა და ფულითაც კი ასაჩუქრებდა. შეგროვილი სანოვაგით მთელი ახალგაზრდობა აღდგომას ერთად აღნიშნავდა.

განსხვავებული ტრადიცია არსებობდა **ყაზბეგშიც**, სოფელ სნოში. იქ აღდგომას ახალგაზრდა ყმაწვილები სოფელში, პატივსაცემი უფროსი მამაკაცების თანხლებით სოფლის ყველა ეზოში მშვილდ-ისრებით შედიოდნენ და ოჯახს აღდგომას ულოცავდნენ. ეზოს შუაგულში სააღდგომო კვერცხებს მწკრივად აწყობდნენ ოჯახის წევრთა სადღეგრძელოდ, თან ხმამაღლა ამბობდნენ მათ სახელებს, ვისთვისაც კვერცხებს დებდნენ. ახალგაზრდები მწკრივად დაწყობილ წითელ კვერცხებს ისრებს იქამდე ესროდნენ, სანამ ყველა მათგანს არ მოხვდებოდა. შესაწირში მოხევეები კვერცხებთან ერთად საკვებს და ფულსაც დებდნენ. მოგროვილი შესაწირით დღის ბოლოს დღესასწაულს ზეიმობდნენ, ფულს კი სოფლის სასარგებლო საქმეს ახმარდნენ.

განსხვავებული ტრადიცია არსებობდა **სამეგრელოშიც**, სადაც აღდგომას ყველიანი და კვერცხიანი პურის კვერებს აცხობდნენ. ქვევრის თავზე კი, რომელსაც ლაგვანს უწოდებდნენ, გოჭს ან ბატკანს კლავდნენ. ოჯახის უფროსი დილიდან წყალსაც კი არ სვამდა, შუადღისას ხონჩაზე ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოს ალაგებდა და საღმრთო ქვევრის თავზე ალაგებდა. შემდეგ ქვევრს თავს ხდიდა და დაილოცებოდა.

რაჭაში აღდგომას დილით ლავაშებს აცხობდნენ. ასევე აკეთებდნენ პურის ფაფას. წირვის შემდეგ მღვდელი ყველა ოჯახში მიდიოდა და აკურთხებდა. თუ ვინმეს ოჯახის წევრი ახალი გარდაცვლილი ჰყავდა, იგი სააღდგომოდ ცხვარს კლავდა. შემდეგ ლავაშს, ცხვრის ბარკალს და სხვა სანოვაგეს ლანგარზე აწყობდა და მღვდლისთვის სახლში მიჰქონდა. აღდგომის მეორე დღეს რაჭაში „გიორგონთობა“ აღინიშნებოდა. ამ დროს აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, ხარშავდნენ ხორცს და ზეიმობდნენ.

გურიაში კი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ტრადიციულად ლელო იმართებოდა. ტყავის ბურთს ნახერხითა და სილით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა შავი ღვინის, ბროწეულის წვენისა და თაფლის ნაზავია, რომელსაც მეტი სიმხნევისთვის მცირე დოზით მოთამაშეებსაც ასმევდნენ.

კახეთში სააღდგომოდ ღორს და ბატკანს კლავდნენ. აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს, რასაც ხალხში არიგებდნენ. შემდეგ დიდ სუფრას გაშლიდნენ, სადაც მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ზეიმობდნენ.

გამორჩეული ტრადიცია ჰქონდა **სვანეთსაც**. მოსახლეობა ეკლესიაში წირვას ესწრებოდა. აღდგომას მთელ კვირას ზეიმობდნენ და ბოლოს უფლიშით — კვირაცხოვლობის დღესასწაულით სრულდებოდა, რაც სვანეთში დღესაც განსაკუთრებულად აღინიშნება.

საქართველოს გარდა, აღდგომა მრავალფეროვანი ტრადიციებით აღინიშნება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშიც.

მაგალითად, **საბერძნეთში** რომელიც მართლმადიდებლური ქვეყანაა, აღდგომას ქართველების მსგავსად აღნიშნავენ. სააღდგომო კვერცხებს ღებავენ და შაბათ საღამომდე ინახავენ. მორწმუნეები აღდგომის წინა საღამოს ტაძარში თეთრი ანთებული სანთლებით მიდიან, შუაღამეს კი სანთლებს ყველა აქრობს. ანთებული სანთლები ქრისტეს აღდგომას განასახიერებს. ბერძნები სააღდგომო სუფრას ბუნებაში აწყობენ. აუცილებლად ხსნიან წინა წლის მოსავლის პირველ ღვინოს, ანუ რეცინას და წვავენ პატარა ბატკანს. საბერძნეთში აღდგომას ორიგინალური ტრადიციაც არსებობს, კერძოდ, ძველ ქოთნებს ფანჯრიდან ისვრიან, რაც სიმბოლურად ახლის დასაწყისსა და გაზაფხულის დადგომას უკავშირდება.

ამერიკაში აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ამერიკელი ქრისტიანები, ძირითადად, ლოცვასა და ოჯახურ შეკრებებში ატარებენ. ისინი კვერცხებს ღებავენ და ბავშვებს კანფეტებს ურიგებენ. აღდგომის მომდევნო ორშაბათს ამერიკის პრეზიდენტი ოჯახთან ერთად მონაწილეობს სააღდგომო კვერცხების „გორაობაში“, რომელიც თეთრი სახლის მინდორზე ყოველწლიურად იმართება. ეს ტრადიცია უკვე 130 წელია, გრძელდება — ამერიკელები ფერად მოხარშულ კვერცხებს სპეციალური გრძელი კოვზებით მიწაზე აგორავებენ. ამერიკული სააღდგომო ტრადიციის განუყოფელ ნაწილს ასევე სააღდგომო ბაჭია და შოკოლადის კვერცხები წარმოადგენს. ამერიკელებს კიდევ ერთი საინტერესო ტრადიცია აქვთ — ისინი ბავშვებს კვერცხებს უმალავენ, ბავშვები კი დიდი მონდომებით ეძებენ მათ. აღდგომის დღესასწაულზე ბოსტონში მოსე წინასწარმეტყველისა და იესო ქრისტეს მოლაპარაკე თოჯინები იყიდება.

გერმანიაში კვერცხების კურთხევა დაახლოებით მეოთხე საუკუნეში დაიწყეს და ამდროიდან მათ სხვადასხვაფერად, ძირითადად კი, წითლად ღებავენ. გერმანული აღდგომის კიდევ ერთი სიმბოლო აღდგომის კურდღელია. ხალხური თქმულების მიხედვით, მას სააღდგომო კვერცხები მოაქვს. აღდგომის კვირის წინა დღეს სააღდგომო კურდღელი ბავშვებს კვერცხებს ბალახში, ბაღში, ტყეში უმალავს. პატარებიც და მშობლებიც კვერცხების ძებნას იწყებენ. შუა საუკუნეებში სააღდგომო კურდღლის დევნა დაიწყეს, რადგან ის ავხორცობის სიმბოლოდ მიჩნეოდა. მას მხოლოდ პროტესტანტული ეკლესია აღიარებდა. ახლა სააღდგომო კურდღელი ყველა ბავშვის საყვარელი გასართობია. გერმანიაში ის ძალიან პოპულარულია. აღდგომის წინა დღეებში კურდღლებს ყველგან შეხვდებით: ფარდებზე, პირსახოცებზე, კარებზე, ფანჯრებზე, შოკოლადის, რბილი მასალის, ხის, თიხის და ცვილის კურდღლებსაც კი. აღდგომის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი გვირგვინია, რომელიც ბუნების გამოღვიძებასთან, ახალი სიცოცხლის დაბადებასთან ასოცირდება. სააღდგომო გვირგვინს გერმანიაში შესასვლელ კარზე ან ფანჯარაზე კიდებენ.

მოამზადა
თამარ შველიძემ

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭილლაძე (სამართალი);
ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99